პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. 4
№ 4. მე-8 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 25
მე-2 სართული ტელეფ. 5—45

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება—70.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2 მილ. მ.

№ 82 პარასკევი, 13 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 82

დღიური

ინგლისის მთავრობა განაგრძობს ეგვიპტელთა დაპატიმრებას.

საერთო მღელვარების გამო რუმინეთის მთავრობა აპირებს გამოაცხადოს საალყო წესები და საერთო მობილიზაცია.

საფრანგეთის საოკუპაციო ჯარი სასტიკ ზომებს იღებს რურის ოლქის მცხოვრებთადმი.

რურის ოლქში რუსეთის მუშების საჩუქრების ჩასვლის გამო, საბჭოთა მთავრობის საპატივსაცემლოდ გაიმართა დიდი მანიფესტაცია.

რურში გერმანელებმა ააფეთქეს რეინის არხის შლიუზები, რითაც დიდი ზარალი მიაყენეს ფრანგებს.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 13 აპრილს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან საკითხი „ლენის მუშების დახვრეტის შესახებ“. თეზისები იხილეთ გუშინდელ ნომერში

ტფ. კომპ. მდივნის მაგ.—ივანოვ-კავკასკი.

ამიერ-კავკასიის შრომის განყოფილებათა მუშაკების თათბირი

დღეს გაიხსნება ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეული ამიერ-კავკასიის შრომის განყოფილებათა მუშაკების თათბირი.

ასეთი თათბირი ამიერ-კავკასიის გასაბჭოების დღიდან პირველად იწვევა და მისი აუცილებლობა და მნიშვნელობა ამ ჟამად, განსაკუთრებით ადგილობრივ მუშაკებისათვის, საკმაოთ მომწიფებულათ და უდავოთ უნდა ჩაითვალოს..

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნამდი, ცალკე რესპუბლიკებში, რომლების ნაციონალური შემადგენლობა და მრეწველობის ხასიათი მეტად ჭრელია, შრომის საკითხები სხვა და სხვა ხასიათის გადაჭრას პოულობდენ, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამდი.

ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობის გამო, ნათლათ სჩანდა, რომ ადგილობრივ მუშაკებს არ ქონდათ გარკვეული ნიადაგი მუშაობისათვის. განუწყვეტელი გამიჯვნა და შეერთება ცალკე ფუნქციებისა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ცალკე ფუნქციების გადაცემა ხან პროფორგანიზაციების გამგებლობაში და ხან ისევ შრომის ორგანოებისათვის, ასუსტებდა უკანასკნელთ, ართმევდა მათ ხელისუფლების ორგანოს ავტორიტეტს, და მუშაკები, განსაკუთრებით პროვინციაში, სჭრიდენ ამ, ხშირად რთულ, საკითხებს ისე, როგორც ამას მათი მცირე გამოცდილება უკარნახებდა.

ამ ჟამად მხარის გაერთიანებული სამეურნეო-ეკონომიური და ფინანსიური ორგანოების არსებობა გვიკარნახებს ჩვენ შრომის კითხვების გადაჭრის მეთოდებში ერთიანი გაგების და მტკიცე თანხმობის დამყარების აუცილებლობას.

და თუმცა ამიერ-კავკასიის ფედერაციის გაერთიანებულმა შრომის სახალხო კომისარიატმა შედარებით მცირე ხნის არსებობის პერიოდში მოახერხა საგრძნობლათ შესუსტებია ადგილობრივი შემოქმედების სტიქიური შრომის კანონმდებლობაში და დაემყარებია ამიერ-კავკასიაში ერთიანი ხასიათი შრომის პირობების მოწესრიგების საკითხში, მაინც, მიუხედავათ ამისა, არის კიდევ ზოგიერთი კითხვები, რომლებიც მოითხოვენ მტკიცე შეთანხმებას და ურყევ საფუძვლების შექმნას მათ ცხოვრებაში გასატარებლად.

ამასთან ერთად სახელმწიფო ორგანოების ერთი წლის მუშაობამ ახალი ეკონომიური ურთიერთობის პირობებში და აგრეთვე ობიექტიური პირობების მთელმა რიგმა გამოიწვია მიუცილებელი საჭიროება წინად მიღებულ მეთოდების და შრომის პირობების მოწესრიგების გადასინჯვისა, რომლებიც ამ ჟამად საჭირო შეთანხმებული იქნენ საბჭოთა ფედერაციის ეკონომიურ შესაძლებლობასთან.

ეს ბუნებრივია.

მუშათა კანონმდებლობამ არ იცის გაყინული ფორმები.

ხელმძღვანელობს რა წარსული გამოცდილებით, ყველა თავისი მიღწევებით და შეცდომებით, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლება სწავლობს ამ გამოცდილებაზე და შეცდომებზე და ამიტომ შეცვლა წინად დამყარებულ ფორმებისა აუცილებელი ხდება.

თანამედროვე ხანაში შრომის პირობების მოწესრიგების საქმეში სახელმწიფოს მხრივ ყველა შესაძლებლობის გათვალისწინების შედეგი იყო წარსული წლის დამლევს გამოცემული შრომის ახალი კოდექსი, რომელშიც ნათლათ არის გარკვეული ყველა ის უფლებები, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს მუშამ ე. წ. სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში.

და იმდენათ, რამდენათაც ამ ჟამად ჩვენ გვაქვს კერძო და სახელმწიფო კაპიტალიზმი, როგორც ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი მოვლენა, შრომის ორგანოებს შეუძლია გაითვალისწინონ მომავალი მუშაობის გეგმა ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი პერიოდისათვის ისე, რომ მათ არ შეეშინოთ ახლო ხანში მისი შეცვლის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შრომის ორგანოებს ამ თათბირზე მრავალი ასეთი საკითხები აქვთ გადასაჭრელი, რომლებიც თვით ცხოვრებამ წამოაყენა როგორც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის, ისე ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის გამო. მაგრამ ამ კითხვებს აქვთ არა ღრმა პრინციპიალური ხასიათის მნიშვნელობა, არამედ უფრო საქმიანი, შრომის ორგანოების მუშაობის ცალკე დარგებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად, რადგან პრინციპიალურად ეს კითხვები გადაიჭრა ა. | წ. მარტში მოსკოვში მოწვეულ შრომის განყოფილებების სრულიად რუსეთის ყრილობაზე, რომელშიც ამიერ-კავკასიის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ.

ასეთია მაგალითად საკითხები სოციალური დაზღვევის, შრომის ბაზრის მოწესრიგების, დაქირავებული შრომის ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტების, დავის გარჩევის დ სხვა, რომლებიც საკმაოდ მომწიფებული არიან ისე გადასაჭრელად, რომ მომავალში მათ ცხოვრებაში გატარებას არაფერი დაბრკოლება არ ხვდებოდეს.

მთავარი კითხვა, ისე როგორც სრულიად რუსეთის ყრილობაზე, იქნება უსათუოდ სოციალური დაზღვევა.

შედარებით მცირე გამოცდილება ამ დარგში, როგორც რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში, ამტკიცებს, რომ დღემდი მიღებული პრინციპები სოციალური დაზღვევისა და დამზღვევი ორგანოების ორგანიზაციული სტრუქტურა, სავსებით ვერ შეუწყობენ ხელს მუშა-მოსამსახურეების სახელმწიფო სოციალური დაზღვევის იდეის განხორციელებას.

რამდენათაც შრომის პირობების საერთო ხელმძღვანელობა შრომის ორგანოების ხელშია, იმდენათ აქედან აუცილებლად გამომდინარეობს საჭიროება უკანასკნელისათვის სოციალური დაზღვევის საქმის გადაცემისა, რომელიც ერთ-ერთი ზომაა შრომის პირობების და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში. „სოციალური დაზღვევის საქმის შრომის ორგანოებისათვის გადაცემამ ბოლო უნდა მოუღოს სოციალური დაზღვევის საქმის შრომის საერთო ინტერესების დაცვის საქმიდან მოწყვეტას“,—ასეთია დადგენილება ახლახან დასრულებულ რ. ს. ფ. ს. რ. შრომის ორგანოების ყრილობისა.

მაგრამ მარტო პრინციპიალური დადგენილება ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მუშაობასთან გაერთიანების შესახებ საკმაო არ არის. სოციალური დაზღვევის მუშაობის შრომის ორგანოების მუშაობასთან შეთანხმება უნდა მოხდეს ნამდვილი ურთიერთზე გავლენის საფუძველზე, რომელიც შესძლებს მუშათა ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის —სოციალური დაზღვევის შემდეგ განვითარებას.

და ამ მხრივ სადარაჯოზე უნდა იდგენ პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული შრომის პირობების და თავისი წევრების მდგომარეობის გაუმჯობესებაში და რომელთა მუშაობა ამ დარგში, უნდა ითქვას, ჯერჯერობით მეტად სუსტია.

სოციალური დამზღვევის საქმის შემდეგში ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა შექმნა მტკიცე დამზღვევი ბაზისა, რომელიც პირდაპირ წარმოუდგენელია სახელმწიფო ორგანიზაციების ქრონიკული დავალიანების პირობებში, რომელიც ხშირად ზოგან 75 პროც. აღწევს.

უკანასკნელი მდგომარეობა, გარდა ჩვენს მეურნეობაზე გავლენის მოსახდენათ ენერგიული ზომების მიღებისა, საჭიროებს აგრეთვე დასაზღვევ თანხის რაოდენობის გადასინჯვასაც ურყევი ნორმების შექმნის მხრივ, რომელთა განხორციელებას რეალურად შესძლებს ჩვენი სახელმწიფო წარმოება; ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ მრეწველობის მძიმე მდგომარეობა ხანგრძლივი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შემდეგ.

მაგრამ დავალიანებასთან უნდა ვაწარმოოთ გადამწყვეტი და მტკიცე ბრძოლა, რადგან მანეთის კურსის რყევის გამო, დასაზღვევი თანხების შეტანის სისტემატიურათ დაგვიანება ამცირებს შესატან თანხების რეალურ ღირებულებას და თათბირმა უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომ გარდა ჯარიმისა დასაზღვევი თანხების დროზე არ შეტანის გამო, დაწესებულებები და წარმოებები, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო, მოვალენი არიან შეიტანონ დასაზღვევი თანხები მათი რეალური ღირებულებით, ვალდებულების დღის კურსის მიხედვით.

გარდა ამისა, თათბირმა ყურადღება უნდა მიაქციოს დამზღვევი სალაროების საშუალებების რაციონალურად დახარჯვას დახმარების ამა თუ იმ ფორმებისათვის და თანდათანობით გააფართოონ უკანასკნელი, განსაკუთრებით უმუშევართა მიმართ, უმუშევრობის კოლოსალური ზრდის გამო. ცალკე რესპუბლიკებში რიცხვი იმ პირთა, რომლებიც იღებენ დახმარებას, ირყევა 10-დან 20-დი. მიუხედავათ სალაროების საგრძნობლათ დავალიანებისა, იქ ხშირია ზედმეტი თანხები სხვადასხვა დანიშნულების ფონდებიდან. ეს მოვლენა უსათუოდ დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს შემდეგში, მუშათა მასების მეტად მძიმე მატერიალურ მდგომარეობის პირობებში, ესეც რომ არ იყოს, ეს მდგომარეობა საგრძნობლათ ასუსტებს ბრძოლას სახელმწიფო მრეწველობის დავალიანებასთან.

ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური დაზღვევის საქმის ცენტრალიზაციასაც. ეს საქმე უნდა ჩამოერთვას ცალკე წამოწყებებს, გარდა დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებისა (რკინის გზა) და მიეცეს ნამდვილი სახელმწიფო ხასიათი.

შრომის ბაზრის მოწესრიგების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ კარდინალური საკითხი შრომის ბირჟის „განთავისუფლების“ შესახებ უკვე გადაწყვეტილია.

მეურნეობის მუშაკთა პირველი შეტევა საკმაოთ ძლიერი აღმოჩნდა და შრომის ორგანოები დათმობაზე უნდა წასულიყვნენ. უკვე გამოქვეყნებულია დადგენილება, რომლის ძალით მთელ რიგს სხვადასხვა საკანცელარიო „სპეციალისტებისას“ ნება ეძლევათ სამსახურში ჩარიცხვაზე შემდგომ რეგისტრაციის საშუალებით.

ეს გარემოება, რასაკვირველია, შესამჩნევ კვალს დასტოვებს შრომის ბირჟის მუშაობაზე იმ მხრივ, რომ შეასუსტებს მის როლს, როგორც შრომის მოწოდებისა და მოთხოვნილების სახელმწიფო რეგულიატორის და ამიტომ შრომის ორგანოებს სიფხიზლე მართებთ შრომის ბირჟაზე ხელახალ შეტევის შემთხვევისათვის. ეხლა კი უძირითადეს საკითხს წარმოადგენს შრომის მოთხოვნილების თანდათანობითი შესუსტებით გამოწვეულ უმუშევრობასთან ბრძოლა, რომელიც ყოველ თვიურათ, პროგრესიულათ იზრდება. ამ დარგში შრომის ორგანოთა მუშაობა განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს.

გარდა უმუშევრობისაგან დაზღვეულთა წრის გაფართოებისა და ნივთიერ დახმარების მეტად მცირე ნორმის გადიდებისა, აუცილებლათ საჭიროა ამ მიმართულებით მთელ რიგ ზომების განხორციელება, განსაკუთრებით იმ ზომების, რომლებიც გამომუშავებული არიან შრომის განყოფილების სრულიად რუსეთის ყრილობის მიერ.

აგრეთვე საჭიროა შრომის ბირჟის ნაწილობრივი რეორგანიზაცია, სახელდობრ, ყურადღების ცენტრის სამრეწველო რაიონებზე გადატანა და შრომის ბირჟების რაოდენობის შემცირება არა სამრეწველო რაიონებში.

შრომის ბირჟებთან დაარსებული კომიტეტები უმრავლეს შემთხვევებში მკვდარ ორგანოებს წარმოადგენენ. საჭიროა მათი ხელახალ არჩევის გახშირება და მათში პროფორგანიზაციებიდან და სამეურნეო ორგანოებიდან ახალ ძალების შეტანა.

შრომის დაცვის მხრით საჭიროა წარმოებებში სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებისათვის მეთვალყურეობა და შრომის კანონთა კოდექსში აღნიშნულ მინიმუმის სავსებითი განხორციელება.

მტკივნეულ საკითხად დგას ხელფასის გადახდის დაგვიანება სახელმწიფო წარმოებებსა და დაწესებულებებში, რაიც მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობას ფრიად მძიმე მატერიალურ პირობებში აყენებს. ამ მოვლენის წინაამდეგ გამოცხადებული უნდა იქნეს სასტიკი ბრძოლა და მიღებული ზომები იმისათვის, რათა დაგვიანებულათ გადახდილ ხელფასის რეალური ღირებულება, მანეთის კურსის დაცემის გამო, არ შემცირდეს და წარმოებებს დაევალოს ხელფასის განსხვავების გადახდა სახელმწიფო ბანკის კურსის მიხედვით.

კონფლიქტურ გარჩევის დარგში სწორად ცნობილ უნდა იქნეს შრომის განყოფილებათა სრულიად რუსეთის მე 4 ყრილობის დადგენილება იმის შესახებ, რომ კონფლიქტების გარჩევის დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს ინტერესები მთლიანად და სახელმწიფოს ეკონომიური შესაძლებლობანი. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, კონფლიქტების 95 პროც. მეტი ხელფასის გადახდის დაგვიანებისა და მიღება-დათხოვნის უწესრიგობის ნიადაგზე ხდება. თუ შრომის ორგანოთა მუშაობა ამ დარგშიაც გაძლიერდება, კონფლიქტებს სახელმწიფო წარმოებებში ადგილი აღარ ექნება ან, ყოველ შემთხვევაში, მათი რიცხვი მინიმუმამდე შემცირდება.

თვალსაჩინო ყურადღების მიქცევა მოუხდება თათბირს ორგანიზაციულ საკითხებზედაც, სახელდობრ, შრომის ორგანოთა აპარატების გამაგრებისა და არა სამრეწველო რაიონებში მთელ რიგ სამაზრო ქალაქების შრომის განყოფილებების გაუქმებისა და ინსპექტორებით მათი შეცვლაზე.

აგრეთვე აქამდე მტკივნეულ საკითხათ რჩება უკიდურესი დეფექტები ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულთა სამმართველოებში მუშაობის მთავარ დარგების აღრიცხვაში და თითქმის სრული უქონლობა მაზრებში მუშაობის აღრიცხვისა, რაიც მეტად აფერხებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის შრომის ცენტრალურ ორგანოს მუშაობას. დროა ამას ბოლო მოეღოს.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ მუშათა კლასის კეთილდღეობის ის მინიმუმი, რომელიც დასახულია შრომის კანონთა ახალ კოდექსში, სავსებით იქნება განხორციელებული. მიღწევა კი ამ მინიმუმის გარეშე—პროფესიონალურ ორგანიზაციების საქმეა.

ი. უ.

სხვის თვალში ბეწვს ეძებენ...

(უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიერ სახ. კომ. საბჭოში წარდგენილ მოხსენების გამო).

ფრიად დიდი ზედმეტი ხარჯები (накладные расходы) აუტანელ მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფო წარმოებას. ზედმეტი ხარჯები უმთავრესად იწვევს ნაწარმოების (საქონლის) ფასების გაზრდას, რაც მათ ბაზარზე ტრიალს ძლიერ ამცირებს. ფასთა განსხვავება სამრეწველო საქონლის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შორის, ომამდე არსებულ ფასების მიხედვით—საგრძნობელია ქალაქის საინდუსტრიო ნაწარმოების ღირებულებამ გაასწრო სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს.

აქედან, რასაკვირველია, არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ სოფლის მეურნეობის ნაწარმოები გაიაფდა და დავიდა ომამდე არსებულ ფასებამდე, სამრეწველო საქონელი-კი ცოტა კეთდება და მისი სიძვირე აიხსნება დიდი მოთხოვნილებით.

სრულებითაც არა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა მოსკოვის „პრავდა“ 29 მარტის, № 69-ში მოთავსებული წერილი: „по одежке протягивай ножки“. წერილის ავტორი ამბობს, რომ საქონელი ბევრი არის, ფასები დიდი და მყიდველები კი არაო, დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითები. მთელ ბრალს საქონლის გაძვირებაში ის ადებს ზედმეტ ხარჯებს накладные расходы როგორც, მაგალითად, ტრესტების გაბერილ აპარატების თანამშრომლების შენახვა, სოციალური დაზღვევის დიდი გადასახადი და სხვ. შევამოკლოთ ეს ხარჯები, გავაიაფოთ საქონელი და ამით ყოველგვარ კრიზისს თავიდან ავიცილებთო - ამბობს წერილის ავტორი.

სახელმწიფო წარმოების მძიმე მდგომარეობას საქართველოში ეხება უმაღლეს სამეურნეო საბჭო თავის მოხსენებაში, რომელიც გასულს მარტს წარდგენილი იქნა სახ. კომისართა საბჭოში, მაგრამ მოხსენებაში აღნიშნული არ არის კრიზისის ყველა მიზეზები, უმთავრეს ბოროტებას უმაღლეს სამეურნეო საბჭო ჰხედავს იმაში, რომ მას უხდება შრომის კანონების და დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებების ძალით სხვა და სხვა ხარჯების გაწევა (ანარიცხები), როგორც, მაგალითად: 1) სოციალური დაზღვევა—25, 2 პროც , 2) კულტფონდი—3,1 პროც., 3) საწარმოო პაიოკის მიცემა—3,2 პროც., 4) სხვა და სხვა ხარჯები (პრემიალური, რკინის გზის სამკურნალო)—14,1 პროც. და სხვ.

დაწვრილებით არ შევეხები ამ ციფრებს, მხოლოდ უნდა ითქვას, რომ სოციალური დაზღვევის გადასახადის შემცირება პრინციპიალურათ გადაწყვეტილია და მისი რაოდენობა ახლო მომავალში დაწეული იქნება იმ დონემდე, რამდენიც ეკონომიურად შესაძლებელი იქნება სახელმწიფო წარმოებისათვის. **გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უნდა აღვნიშნოთ, რომ დასაზღვევი ფული უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ჯერ არ გადაუხდია, და მისი გავლენა ხარჯებზე მომავლის საქმე.**

რაც შეეხება დანარჩენ ციფრებს, მე ვფიქრობ, რომ აქ გაუგებრობას აქვს ადგილი ან მოხსენებაში, ან თვით უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ორგანოების მუშაობაში. აიღეთ, მაგალითად მე-4-ე მუხლში ნაჩვენები ხარჯები (რკინის გზის, პრემიალური და საექიმო), რაც შეადგენს 14,1 პროცენტს. საექიმო ხარჯები უმ. სამ. საბჭოს არც უნდა გადაეხადა და არც უნდა გადაიხადოს, ვინაიდან სოციალურ დაზღვევის გადასახადით ის ყოველგვარ ექიმობის ხარჯებისაგან თავისუფლდება და თუ-კი აწარმოებს საექიმო დახმარებას - სათანადოდ დაკლებული უნდა ყოფილიყო სოც. დაზღვევის გადასახადი დამზღვევ ორგანოებთან შეთანხმებით.

რკინის გზის ხარჯები, აქ ლაპარაკია ალბად ტყიბულიდან ქუთაისამდე მუშების ყოველკვირეულათ გადმოყვანის შესახებ, ეს ხომ თვით უმაღლეს სამეურნეო საბჭოზე იყო დამოკიდებული. თუ არ შეეძლო, კოლექტიურ ხელშეკრულებაში ასეთი პუნქტის შეტანაზე არ უნდა დათანხმებულიყო.

ასევე ითქმის პრემიალურზე (ალბათ ტრესტების კანცელიარიის მომუშავეთათვის) და კულტფონდის შესახებ.

ერთი გასაკვირი ადგილი არის მოხსენებაში. ყველა ზედმეტ ხარჯების მიზეზად გამოყვანილია პროფკავშირები. პროფკავშირი გვაიძულებდა კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეგვეტანა წარმოებისათვის შეუძლებელი და დამღუპველი პუნქტებიო,—ამბობს მოხსენება. მკითხველებს ალბად პირველად ესმით, რომ კოლექტიური ხელშეკრულება ძალდატანებით იდება და არა ორივე მხარეების შეთანხმებით. თუ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს კოლექტიური ხელშეკრულება ესმის როგორც ძალმომრეობითი აქტი და არა ნებისყოფლობითი—ეს სამწუხაროა; რომ ეს მათ მართლა ასე ესმით, მოვიყვან ამონაწერს მოხსენებიდან: „Между тем такие непосильные статьи приходится вносить в договоры под давлением Профессиональных организаций, идущих по линии наименьшего сопротивления, не учитывая опасного состояния промышленности и ее реальных ресурсов и возможностей“.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს უნდა ცოდნოდა, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე ძალით ხელს არავის აწერიებენ, არც სახელმწიფო მეურნეობის ორგანოებს, და არც კერძოსას. ყველა კარგი მეურნე აწონ დაწონის თავის მდგომარეობას და მოაწერს ხელს მხოლოდ იმას, რის შესრულებაც მას შეუძლია.

ზემოთ ნაჩვენებ შეცდომას კიდევ ემატება ერთიც. მოხსენებაში ნათქვამია: „Если вышеупомянутым 67 проц зарплаты, выплачиваемым теперь сравнительно с довоенной зарплатой, прибавить указанные 70,9 проц. начисления, (ლაპარაკია დაზღვევაზე, კულტფონდზე, მუშკომიტეტის შესანახ ხარჯებზე და სხვ. ს. გ.) то окажется, что в 1923 г. предприятиям фактически и приходилось выдавать около 115 проц. довоенной заработной платы в среднем“.

ასეთი ცნობის მოცემა, რომ მუშები იღებენ 115 პროც. ომამდე არსებულ ხელფასისა—მხოლოდ შეუძლია უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ბუხჰალტერიას და სხვა არავის. გასაკვირალია, რომ გამოვიდა 115 პროც. და არა 200 პროც , ვინაიდან, როგორც ეტყობა, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოანგარიშე არ იშურებს არაფერს და ყველაფერს სამუშაო ქირას უმატებს.

ასეთი არევ-დარევა დაუშვებელია. დაზღვევის ფული, კულტფონდი, მუშკომიტეტის შენახვა და სხვა ამგვარი არ შეიძლება შეერთებულ იქნას სამუშაო ქირასთან. ისინი არ შეადგენენ სამუშაო ქირის ნაწილს.

როგორც ზევით ვთქვით, უმაღლეს სამეურნეო საბჭო ზედმეტ ხარჯის მიზეზს ეძებს იქ, სადაც ის არ არის (მცირე გამონაკლისის გარდა), ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მივუთითო მას რუსეთის უმაღ. სამ. საბჭოს და ცენ. პროფკავშირების საბჭოს ცირკულიარულ წერილზე (გაზეთი „ტრუდი“ № 69, 24 მარტი. ხელმოწერილია ბოგდანოვისაგან). წერილში ნაჩვენები არის, რომ შრომის ხელფასმა აიწია 50—60 პროც. ომამდე არსებულ ხელფასთან შედარებით. ხელფასის აწევამ გაზარდა შრომის ნაყოფიერებაც, **რომელიც ვერ იქნა მთლიანად გამოყენებული სამეურნეო ორგანოების მიერ წარმოების მოუწყობლობის, ცუდი კომერციის და აგრეთვე წარმოების დამხმარე ორგანოების (ტრესტები, განყოფილებები და სხვა) მოსამსახურეთა შტატის სიმრავლის გამო, რისთვისაც აუარებელი ხარჯი მიდის.**

სწორედ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება უმაღლეს სამეურნეო საბჭომ. მიზეზების ძებნა პროფკავშირებში, შრომის ხელფასში და სხვაგან, მეურნეობის საქმეს ვერ მოაგვარებს.

ხ. გ—ძე.

კიდევ სასამართლოს რეფორმის შესახებ

ამ სამი კვირის წინათ მე ვწერდი იმ დიდი მუშაობის შესახებ, რომელიც სწარმოებს დღეს სახალხო იუსტიციის კომისარიატში. ტარდება სასამართლოს ახალი რეფორმა, რომელიც გამოიხატება უმთავრესათ იმაში, რომ ისპობა დღემდე არსებული პარალელიზმი.

ჩვენ გვქონდა ერთი მხრით—ტრიბუნალები თავიანთი ფუნქციებით, უფლებებით, საკასაციო ინსტანცია ადგილობრივი ტრიბუნალებისათვის, რესპუბლიკის უზენაესი ტრიბუნალი, სასამართლოს გზით პირდაპირ დამოკიდებული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმთან, თავის შესაფერისი შტატით, ხოლო მეორე მხრით—ადგილობრივი სახალხო სასამართლოები თავის საკასაციო ცენტრით, რესპუბლიკის სასამართლოთა საბჭო, თავის ფუნქციებით, უფლებით, შესაფერი შტატით, იუსტიციის კომისრისგან დამოკიდებულებით. ასეთია დღემდი ჩვენი სასამართლოების ორი შტო, ორნაირი შტატი, ორმაგი ხარჯი.

ადრე თუ გვიან ასეთ პარალელიზმს და ზედმეტ ხარჯს უნდა ბოლო მოღებოდა. სწორეთ ჩვენმა რეფორმამ მიზნათ ეს დაისახა და ერთდება სასამართლოს ეს ორი პარალელურათ არსებული ერთეულები არსდება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ერთიანი სასამართლო, დღეს რუსეთში არსებული საგუბერნიო სასამართლოთა ტიპების თანახმათ, რა თქმა უნდა აქაურ სპეციფიურ პირობებთან შეთანხმებით.

კონკრეტულათ ეს მდგომარეობს შემდეგში: ჩვენი რესპუბლიკა არის დაყოფილი რამოდენიმე რაიონებათ. თითოში ეწყობა პირველი უჯრედი, წოდებული ადგილობრივ სახალხო სასამართლოთ. შემდეგ,—საოლქო სასამართლოები: დასავლეთ საქართველოსი—ქუთაისში, აღმოსავლეთ საქართველოსი—თბილისში, რომლებიც არიან პირველი საკასაციო ინსტანცია ადგილობრივი სახალხო სასამართლოებისათვის. უზენაესი სასამართლო რესპუბლიკისა კი არის მეორე საკასაციო ინსტანცია საოლქო სასამართლოებისათვის. ხოლო რესპუბლიკის ეს უზენაესი სასამართლო არის პირველი ინსტანცია დიდი სახელმწიფოებრივი დანაშაულობათა გასამართლებისათვის, შესაფერის პროკურორთა შტატით.

ერთიანი სასამართლო, სამი საფეხურით, ერთიანი საკასაციო პრაქტიკით, სასამართლოს პოლიტიკაში და მის გატარებაში დამოუკიდებელი, ხოლო დამოკიდებული ადმინისტრატიულ სამეურნეო დარგში რესპუბლიკის პროკურორისაგან ე. ი. იუსტიციის კომისარიატისაგან. ასეთია ორგანიზაცია სასამართლოსი, რომლის რეფორმა დაჩქარებული ტემპით სწარმოებს დღეს.

ამ რეფორმის ერთი უმთავრესი ნაწილი უკვე დამთავრებულია: აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურა უკვე შეუდგა თავის მუშაობას. იყო მოწოდება პირველყოვლისა ჩვენი ხელისუფლების ყველა ორგანოებისადმი, პროფკავშირების მუშათა ორგანიზაციების და აგრეთვე მოქალაქეთადმი, რათა ამ სახელმწიფოებრივი აპარატის მუშაობისთვის აღმოეჩინათ ყოველნაირი დახმარება. იქ იყო უმთავრესათ განმარტებული ურთი-ერთი დამოკიდებულება, რომელიც უნდა არსებობდეს ერთი მხრით ყველა დაწესებულებათა და მეორეთი—საპროკურორო კანტროლ შორის; ყველას საყურადღებოთ იყო მოწოდება სოლიდარული მუშაობისაკენ ამ აპარატთან.

რას ვხედავთ სინამდვილეში? სამწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ხელისუფლების ამ მეტათ მნიშვნელოვან ორგანოს არ უწევენ სათანადო ანგარიშს, ჩვენი ხელის უფლების ზოგიერთი ორგანოები. ჩემის აზრით მთელი ჩვენი ძალღონით უნდა ვებრძოლოთ ასეთ არა ნორმალურ და ყოვლათ დაუშვებელ მოვლენებს.

მე ძლიერ კარგათ მესმის, რომ ყოველი ჩვენ მიერ ახლათ გადადგმული ნაბიჯი, მუდამ წააწყდება ბევრ დაბრკოლებებს, ბევრი „ობივატელის“ თავში გამოიწვევს გაოცებას, მაგრამ ასეთ დაბრკოლებებს არ უნდა ჰქონდეთ მუდმივი ხასიათი. გასაგებია აგრეთვე ისეც, რომ შეიძლება ჩვენი კანონების დამცველმა „მეთვალყურემ“ ვერ გამოიჩინოს სათანადო ტაქტი და საჭირო მიდგომა საქმისადმი. ვიმეორებ ყოველივე ეს არა ნორმალური მოვლენები მოსალოდნელია რეფორმების გატარების პირველ პერიოდში. მაგრამ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, მთელი ძალღონით ვებრძოლოთ ამას.

ამ რეფორმის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი სასამართლოებიდან სრულიათ განდევნილიყო მავნე ელემენტები და საბჭოთა ხელის უფლების მართლ-მსაჯულება გადაგვეცა მუშების ხელში, რაც უკვე რესპუბლიკის მასშტაბით 95 პროცენტით შესრულებულია. ჩვენი მართლმსაჯულება დაჩქარებით უახლოვდება ფართო მუშათა და გლეხთა მასებს. სწრაფათ სწარმოებს საქმეთა როგორც მიღება, აგრეთვე მათი დროზე და სამართლიანი გარჩევა და გამოაქვთ ისეთი განაჩენები, რომელნიც სრულიათ გამოხატავენ ამ მასების ინტერესებს. ეს კი ხელს უწყობს სასამართლოების ავტორიტეტის აწევას.

დ. ნახარიძე.

ფრანკფურტის საერთაშორისო კონფერენციის მოწოდება

ყველა ქვეყნის მუშებისადმი.

უკვე 2 თვეზე მეტი გრძელდება რურის ომი. ყოველ დღე მას ეწირება ადამიანთა მსხვერპლი. ღრმა და განუკურნებელი ჭრილობები ესმება საფრანგეთის, გერმანიის და მთელი ევროპის ეკონომიურ ცხოვრებას და გაძლიერებულ სიძვირესა და უმუშევრობის გამო უარესდება მუშათა კლასის აუტანელი მდგომარეობა.

რაც უფრო გრძელდება რურის ომი, მით უფრო ახლოვდება საშიშროება, რომ ეკონომიური ომი რურში გადაიქცევა გამანადგურებელ, საშინელ ომად. საფრანგეთში ისევე, როგორც გერმანიაში ბურჟუაზიის ერთი ნაწილი შეგნებულად მოქმედობს ამ მიმართულებით. მეორე ნაწილი კი, ეშინია რა მას, რომ ახალი ომის შემდეგ არ დაინთოს პროლეტარული რევოლიუციის ცეცხლი, სცდილობს გადადოს საკითხის გადაწყვეტა იარაღის საშუალებით და დაასრულოს რურის ომი კაპიტალისტებს შორის შეთანხმებით.

მუშებო და მუშა ქალებო! ასეთ შეთანხმებას კაპიტალისტებს შორის არ შეუძლია მოგცეთ ნამდვილი და ხანგრძლივი მშვიდობიანობა. იგი მოასწავებდა მხოლოდ დროებით შესვენებას, ომისათვის მომზადების ვადის გაგრძელებას და ეს კაპიტალისტური შეთანხმება უნდა იქნეს მიღწეული ჩვენს ხარჯზე, მუშათა ხარჯზე. კიდევ მეტი გადასახადები მუშათა მხრებზე, 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება, ხელფასის შემცირება, სოციალურ კანონმდებლობის შემცირება—აი შეთანხმების კაპიტალისტური პროგრამა, აი სტინესის პროგრამა, აი ის ხაზი, რომელზედაც ხდება შეთანხმება პუანკარეს და სტინესის შორის.

ომის საშიშროება კიდევ უფრო იზრდება მეომარ ფაშიზმის გამოსვლების გამო. ფაშიზმი მიზნად ისახავს მუშათა ორგანიზაციების განადგურებას და მუშების გადაქცევას კაპიტალის მონებათ.

მუშებო! რურის ოლქის დაკავების და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალ დემოკრატიის და რეფორმისტულ პროფკავშირების წინამძღოლები, მათდა სამარცხვინოთ, სრულიად უძლურნი აღმოჩნდენ. ჰააგის კონფერენციის მკვეხარა დაპირებანი—გამოეცხადებია საერთო გაფიცვა ომის საშიშროების დროს,—შეუსრულებელი დარჩა. უბრალო ცდაც კი არ იყო მოეწყოთ გამოსვლები ომის და რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიის, რევოლიუციონურ პროფკავშირების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოწოდებებმა საერთაშორისო პროლეტარულ მებრძოლ ფრონტის შედგენისაკენ არ ჰპოვეს არავითარი გამოძახილი არც ამსტერდამის, ლონდონის და ვენის ინტერნაციონალების, არც მათ სექციების მხრივ. როგორც მსოფლიო ომის დროს, ისე დღესაც ეს წინამძღოლები მხარს უჭერდენ მათ ბურჟუაზიასთან ერთად სამოქალაქო მშვიდობიანობას.

ბრძოლას აწარმოებდენ მუშათა მასებთან ერთად მხოლოდ კომუნისტები, რევოლიუციონური პროფკავშირები და პროფესიონალური საქარხნო კომიტეტები, რომელთაც მხარს უჭერდენ სოციალ-დემოკრატიული, დამოუკიდებელი და უპარტიო მუშები და აგრეთვე კომუნისტური და რევოლიუციონური მუშა-ახალგაზრდობა. მათ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც მოაწყვეს მუშათა კლასის საერთაშორისო კავშირი, არ უფრთხოდენ ბურჟუაზიის ციხეებს, მოაწყვეს რევოლიუციონური პროპაგანდა ოკუპანტების ჯარებს შორის, მობილიზაცია უყვეს ფართო პროლეტარულ მასებს.

ყველა ქვეყნის მუშებო და მუშა ქალებო! ფრანკფურტის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა იმ ძალებს, რომელნიც აწარმოებდენ ბრძოლას და რომელნიც მზად არიან მომავალშიაც აწარმოვონ შეუდგარი ბრძოლა რურის ოკუპაციის და ომის საშიშროების წინააღმდეგ—ეს კონფერენცია მოგიწოდებთ თქვენ განაგრძოთ დაწყებული ბრძოლა კიდევ უფრო მჭიდრო რიგებით და უფრო ფართოთ. ამ გამოსვლების ერთიანი ხელმძღვანელობის გასაწევათ და ფართო მასების და მუშათა ორგანიზაციების საერთაშორისო პროლეტარულ ფრონტში ჩასაბმელათ,—რაც საშუალებას მოგვცემს მოვიწვიოთ მთელი ქვეყნის მუშათა კონგრესი,—კონფერენცია აარსებს **მოქმედების საერთაშორისო კომიტეტს.**

მუშებო და მუშა ქალებო! გაერთიანდით მოქმედების საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელობით, ანგარიში არ გაუწიოთ სხვა და სხვა ქვეყნების საზღვრებს და პარტიებს, რათა თავიდან აიშოროთ ომის საფრთხე,

რათა აიძულოთ იმპერიალისტური მტაცებლები გასწმინდონ რურის ოლქი და ყველა ოკუპაციით დაკავებული გერმანული ოლქები;

რათა გაუქმებულ იქნეს მტაცებლური ვერსალის ხელშეკრულება;

რათა უკუ აგდოთ კაპიტალის გაძლიერებული შემოტევა თქვენი არსებობის წინააღმდეგ.

გააღრმავეთ რევოლიუციონური პროპაგანდა ჯარებს შორის, რომელნიც იმპერიალიზმს შეჰყავს შეცდომაში და რომელთაც ის ბოროტად იყენებს!

მოითხოვეთ ყველა დაპატიმრებულ პროლეტარულ მებრძოლების განთავისუფლება!

მოაწყვეთ საერთაშორისო კომიტეტები იარაღის გადაზიდვაზე კანტროლის დასაწესებლად და ყველა ასეთი გადაზიდვის შესაწყვეტად!

გამართეთ ყველგან მასიური დემონსტრაციები!

თავდაცვითი ბრძოლის გაძლიერების და გაერთიანების მიზნით კონფერენცია მართავს 1923 წ. 15—23 აპრილს საერთაშორისო პროპაგანდის კვირეულს.

საფრანგეთის და ბელგიის, დიდი და მცირე ანტანტის მუშებო! თქვენი პასუხი რევოლიუციონურ წინამძღოლების დაპატიმრებაზე, თქვენი მთავრობის მხრივ სასტიკ დევნაზე უნდა იყოს: „ეხლავე, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს!“

გაამწვავეთ ბრძოლა ყველა ფრონტებზე, სადაც თქვენ პირის-პირ დგეხართ მწარმოებელთა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ ძალაუფლების წინაშე! თქვენ გივალებათ უმთავრესი ამოცანა—მიაღწიოთ მტაცებლური ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებას. გერმანელ მუშებთან ერთად განუმარტეთ თქვენ ძმებს შინელებში, რომ მათ ნება აღარ მისცენ გამოიყენონ ისინი გერმანელ კლასიურ ამხანაგების წინააღმდეგ.

ძირს გადასახადები ღარიბებზე!

ძირს გადასახადი ხელფასზე!

ძირს პუანკარე!

ძირს მტაცებლები, სამთო მადნო მექარხნეების კომიტეტი.

გერმანიის მუშებო!

მევახშე—პატრიოტები, რომელნიც ათასჯერ სდებდენ ფიცს, რომ ისინი არავითარ მოლაპარაკებას არ დაიწყებენ პუანკარესთან, სანამ არ იქნება გაწმენდილი რურის ოლქი, დღეს უკვე გულგრილად და ცინიკურად ამზადებენ მათთან შეთანხმებას და ამავე დროს ნაციონალურ შულლს უმაღლეს წერტილამდე ამწვავებენ. ისინი მზად არიან დაეთანხმონ რურის ოკუპაციას განუსაზღვრელ დრომდე, თუ კი საფრანგეთის კაპიტალი გაუნაწილებს მათ კოლონიად გადაქცეულ გერმანიიდან მიღებულ შემოსავალს.

რურის და დანარჩენ გერმანიის მუშებო! გაძლიერებული ენერგიით განაგრძეთ თავდაცვა პუანკარეს წინააღმდეგ!

და თუ საჭირო იქნება მსხვერპლის გაღება იმისათვის, რათა აიძულონ მტაცებლები დასტოვონ რურის ოლქი, დეე ეს მსხვერპლი გერმანიის ბურჟუაზიამ გაიღოს!

ვერც რომელიმე კუნოს მთავრობა და ვერც ვერავითარი დიდი თუ პატარა კოალიცია ამას ვერ მოახერხებს. ამას შესძლებს მხოლოდ რევოლიუციონური მუშათა მთავრობა. იბრძოლეთ ასეთ მთავრობისათვის! მასში არის ერთად ერთი საშუალება, რათა მიღწეულ იქნეს ნამდვილი მშვიდობიანობა, რათა განმტკიცდეს თქვენი და აგრეთვე გერმანიის არსებობა. სარეპარაციო კრიზისი გამოწვეულია კაპიტალიზმის დაშლით და შეიძლება საბოლოვოდ მოისპოს კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ.

გერმანიის რევოლიუციონურ მუშებს სურთ მშვიდობიანობა. თუ წინასწარ არ მოხერხდა ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება საერთაშორისო პროლეტარული ბრძოლის საშვალებით, მაშინ ისინი მზად არიან მოიპოვონ ეს მშვიდობიანობა საშინელ მატერიალური მსხვერპლით ბურჟუაზიის ხარჯზე იმისათვის, რათა მოიგონ დრო მუშათა კლასის ძლიერების განსამტკიცებლად.

საბჭოთა რუსეთთან კავშირი ძალიან განამტკიცებს გერმანიის რევოლიუციონურ მუშათა მთავრობის ძლიერებას და იქნება მშვიდობიანობის მომავალი გარანტია, და აგრეთვე განამტკიცებს მუშათა სახელმწიფოს დაცვას, თუ საერთაშორისო კაპიტალი არ მოისურვებს მშვიდობიანი ურთიერთობა დაიჭიროს რევოლიუციონურ გერმანიასთან.

ყველა ქვეყნის მუშებო და მუშა ქალებო! კონფერენცია ბოლოს მოგიწოდებთ თქვენ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოთ ფაშიზმს. იმ ადგილებში, სადაც ფაშიზმი ეს არის ირაზმება და იბრძვის ძალაუფლებისათვის, იქ განავითარეთ მის წინააღმდეგ ფართო ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდა! მაგრამ ნუ დაკმაყოფილდებით ამით და ამავე დროს მოაწყვეთ თქვენი მუშათა ორგანიზაციები, რომელნიც დასაწყისშივე დაამხობენ ფაშიზმს. ხოლო იქ, როგორც იტალიაში, სადაც ფაშიზმმა გაიმარჯვა,—გააერთიანეთ საერთაშორისო მაშტაბით თქვენი ძალღონე, რათა დაამხოთ იგი.

ძირს ფაშისტური ყაჩაღები!

მუშათა ახალგაზრდობავ! თქვენ ხართ ის, რომელთა ხვედრია—იყოს პირველი მსხვერპლი იმპერიალისტური ომისა, თქვენ განსაკუთრებით აქტიურად უნდა მიიღოთ მონაწილეობა პროლეტარულ ბრძოლაში ომის და ფაშიზმის წინააღმდეგ, უნდა მისცეთ ყველაზე აღტკინებული მებრძოლები!

ომი იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ!

ძირს მტაცებლური ვერსალის ხელშეკრულება!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნებში, მიუხედავათ პარტიული სხვადასხვაობისა—**ერთიან საერთაშორისო პროლეტარულ მებრძოლ ფრონტს!**

ფრანკფურტის საერთაშორისო კონფერენცია.

ფრანკფურტი 18 მარტი 1923 წ.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

მანიფესტაციები საბჭოთა მთავრობის საპატივცემულოთ.

მოსკოვი. 12 აპრ. ბოხუმში, რუსეთის მუშების მიერ გაგზავნილ ვაგონის რურში პირველად ჩასვლის გამო, შესდგა საბჭოთა მთავრობისადმი პატივისცემის ნიშნად დიდი მანიფესტაცია.

უარყოფითი შედეგები.

ბერლინი. 12 აპრილი გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ რურის ოლქის ოკუპაციამ სამი თვის განმავლობაში აბსოლიუტურად უარყოფითი გავლენა იქონია ამ მხარის მრეწველობაზე. მარტის დამლევამდე საფრანგეთმა და ბელგიამ 4,2 მილ. ტონა ნახშირის ნაცვლად, მიიღეს 238,000 ტონა, რომლის მიღება შეიძლებოდა მშვიდობიანი გზითაც. სამი თვის განმავლობაში ოკუპანტებმა მოახერხეს მხოლოდ 49 გერმანელის მოკვლა და რეინლანდიიდან და რურიდან მრავალი ათასი მცხოვრებლების გადასახლება, მრავალთათვის სხვადასხვა ვადით ციხის მისჯა. მრავალი მილიონი მარკის მითვისება და აუარება ჯარიმების და კონტრიბუციის გადახდევინება, რომელთა ჯამის გამოანგარიშება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

აუცილებელია კონფლიქტის სასწრაფოდ გადაჭრა.

ბერლინი. 12 აპრილი. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვით, აუცილებელია რაც შეიძლება დაჩქარებით გადაჭრილი იქნეს რურის კონფლიქტის საკითხი. ეს აუცილებლობა გამოწვეულია მით, რომ პუანკარემ და ლუშერმა აღიარეს, რომ ეხლანდელი მდგომარეობა ვნებს ანტანტის ინტერესებს და აძლიერებს გერმანიის წინააღმდეგობას. ბელგიის სათანადო წრეები ეჭვს გამოსთქვამენ ლუშერის ლონდონში გამგზავრების რაიმე სასურველ შედეგებში, რადგან არც წინად და არც ლუშერის პუანკარესადმი მოხსენების შემდეგ ამის შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოქვეყნებულა.

ინგლისის პრესა გერმანიის დაქუცმაცების წინააღმდეგ

ბერლინი. 12 აპრ. ინგლისის პრესა გარკვევით წინააღმდეგია გერმანიის დაქუცმაცების და მოითხოვს გერმანიის საკონტრიბუციო ვალდებულებათა შემცირებას.

ჯარიმები

ბერლინი. 12 აპრ. ქალაქ დიუსბურგს შეაწერეს ჯარიმა 75 მილიონი მარკის რაოდენობით, თითქოს ტელეგრაფზე განზრახული საბოტაჟის გამო. ქალაქ მეტმანს დაადეს ჯარიმა 80 მილ. მარკის რაოდენობით, საფრანგეთის ოფიცერზე თავდასხმის გამო. ჯარიმა შეტანილ უნდა იქნეს 8 დღის განმავლობაში. ქალაქ ბურს შეაწერეს ჯარიმა 50 მილ მარკის რაოდენობით, რეკლინგჰაუზენ-ოსტერფელდის რკინის გზის ხაზზე ხიდის აფეთქების გამო. ქალაქში აკრძალულია მიმოსვლა ღამით.

მოსკოვი. 12 აპრილი საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ბოხუმს მიესაჯა 100 მილ მარკის ჯარიმა. ჯარიმის დაწესებას ფრანგები ასაბუთებენ იმით, რომ ბოხუმში ადგილი ჰქონდა ფრანგ-ჯარისკაცის მოკვლას. ჯარიმის გადახდის უზრუნველსაყოფად ფრანგებმა დააპატიმრეს ბოხუმის ქალაქის სამმართველოს ზევრი წევრები.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი. 12 აპრ. ვოლტროპის მაღაროების დაკავების დროს ფრანგები ესროდენ მუშებს, მაგრამ არავინ დაუჭრიათ. ამის შემდეგ დაუყონებლივ დაიწყო ამ მაღაროების მუშათა გაფიცვა. კასტროპში მაღაროების დაკავებისას ფრანგებმა შემოიღეს საალყო წესები. მანცში საოკუპაციო ხელისუფლებამ კონფისკაცია უყო შემნახველ სალაროში 14 მილ. მარკას უმუშევართა ფონდიდან.

ძირს რურის მკვლელები.

მოსკოვი. 12 აპრილი. გაზეთ „ლიბერტეს“ უკანასკნელი ნომერი, რომელიც წარმოადგენს საფრანგეთის მემარცხენე ლიბერალების ორგანოს, გამოვიდა ლოზუნგით: „ძირს რურის მკვლელები“ ნომერს კონფისკაცია უყვეს. გაზეთის ორი რედაქტორი დაპატიმრებულია.

საფრანგეთის მთავრობის აბნევა.

მოსკოვი. 12 აპრილი. ლუშერის ლონდონში გამგზავრების ოფიციალურ ხასიათს არავინ უარს არ ყოფს. საფრანგეთის მთავრობა წინადადებას იძლევა დაიჭირონ შეურიგებელი პოზიცია რურის და რეპარაციების საკითხში. საფრანგეთის მსხვილი სამრეწველო წრეები ვერ ფარავენ თავიანთ უკმაყოფილებას ასეთ პოზიციით და აცხადებენ, რომ უმჯობესი იყო სულ არ დაეკავებიათ რურის ოლქი. გაზეთები ადასტურებენ, რომ საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტი გადადის განვითარების ახალ ფაზაში, ამ ფაზის პირველი ეტაპი იქნება მოკავშირეებში ერთნაირი შეხედულების აღდგენა. კომუნისტური გაზეთი „იუმანიტე“ აღნიშნავს საფრანგეთის მთავრობის აბნევას და ძველ პოლიტიკაზე უარის თქმას.

საფრანგეთს და ინგლისს შორის ხდება ახალი შეთანხმება.

მოსკოვი. 12 აპრილი. ლუშერის მოლაპარაკება ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებთან დიდ საიდუმლოებაში ინახება. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთ ინგლისს შორის ხდება ახალი დაახლოვება. ოფიციალურ წრეებში ლუშერის ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეებთან საუბრის გამო აღნიშნავენ, რომ ინგლისი ყოველთვის თანაუგრძნობდა საფრანგეთს და მზად იყო მისთვის ხელი გაეწოდებია ლუშერმა მოხსენება გაუკეთა პუანკარეს და ეს მოხსენება განმეორებული იქნება კონფერენციაზე ბელგიის პრემიერ ცინისის და გარეშე საქმეთა მინისტრის ჟასპარის თანადასწრებით. ფიქრობენ, რომ კონფერენცია შეიმუშავებს ახალს მოქმედების ხაზს გერმანიის მიმართ. გაზ. „მატენის“ აზრით საფრანგეთს, ინგლისს და ბელგიის შორის მიღწეული იქნება შეთანხმება, რომელსაც საფუძვლად დაედება მოკავშირეთა ვალების, მათ შორის ამერიკისაგან აღებულ ვალების გაუქმება სარეპარაციო საკითხში საფრანგეთის მიერ დათმობის კონპენსაციის სახით.

ოკუპაციის გარშემო

მუშები განაგრძობენ წინააღმდეგობას.

ბერლინი. 12 აპრილი დაკავებულ მხარეების მუშათა კავშირების კონფერენციამ გადასწყვიტა განაგრძოს წინააღმდეგობა ოკუპანტების მიმართ. კონფერენციის დადგენილებით, მოლაპარაკება არ დაიწყება იმ დრომდის, სანამ დაკავებული ადგილები არ განთავისუფლდება სავსებით. აღნიშნულ მიზნის მისაღწევათ უნდა იქნეს მიმართული მუშათა ყველა ღონისძიებანი.

ოკუპაციის გაფართოება.

ბერლინი. 12 აპრილი. მანჰეიმის მახლობლად საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს სამრეწველო რაიონი ნეკარაუ.

კიდევ ერთი მსხვერპლი.

ბერლინი. 12 აპრილი. გუშინ ღამით ესსენში მოკვდა მუშა, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი კრუპპის ქარხნებში მომხდარი შეტაკების დროს.

ხელი რომ არ შეუშალონ.

ბერლინი. 12 აპრილი. „ფოსიშე ცაიტუნგის“ სოციალური კორესპონდენტი ინგლისის სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ ჟენევაში მომავალ კვირის სხდომაზე ერთა ლიგა განიხილავს რურის კონფლიქტის საკითხს. ეს აიხსნება იმით, რომ ერთა ლიგას არ სურს ხელი შეუშალონ თავიანთ მთავრობებს საკონტრიბუციო საკითხის ძირითად ხაზის გამომუშავების საქმეში.

მუშების უთავშესაფროთ დატოვება.

ბერლინი. 12 აპრილი. სანტ-პაულეში, ტრირის მახლობლათ, რკინის გზელთა მეორე კოლონია ჩაიგდეს ხელში ფრანგებმა, ამასთან მუშების 100 ოჯახი დარჩა სავსებით უთავშესაფროთ.

გერმანიის სტატს-სეკრეტარის გამის დაპატიმრება.

ბერლინი. 12 აპრილი. გერმანიის სტატს-სეკრეტარი გამი, რომელიც ჩავიდა ესსენში ესსენის ამბების მსხვერპლთა დასაფლავებაში მონაწილეობის მისაღებად, დააპატიმრა საოკუპაციო ხელისუფლებამ და გაგზავნა შანგორსტის წინასწარ ციხეში. 2 საათის პატიმრობის შემდეგ გამი განთავისუფლეს და გადაასახლეს, დაკავებულ ტერიტორიიდან გაფრთხილებით, რომ სასტიკად იქნება დასჯილი იმ შემთხვევაში, თუ კვლავ დაბრუნდება ამ ადგილებში.

ახალი მაღაროების აფეთქება

მუშების წინააღმდეგობა.

მოსკოვი. 12 აპრილი. ფრანგები და ბელგიელები განაგრძობენ რურში სახელმწიფო და კერძო მაღაროების ხელში ჩაგდებას. სულ ფრანგების მიერ დაკავებულია 14 მაღარო. ფრანგების მიერ მაღაროების დაკავების შემდეგ გერმანიის მუშები თავს ანებებენ მუშაობას. მათ სცვლიან ფრანგები. საფრანგეთში ნახშირის გადაზიდვის უზრუნველსაყოფელად დაკავებულია გაული რიგი რკინის გზის სადგურებისა. უკანასკნელ ხანებში დაკავებულ სადგურების შემდეგ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გადასახლებული იქნა ზინბიდან 125 რკინის გზის ოჯახები.

რეინის არხის აფეთქება

მოსკოვი. 12 აპრილი. რურიდან იუწყებიან რეინის არხის შლიუზების აფეთქების შესახებ.

ამფეთქებელთა ვინაობა არ იციან. აფეთქება დიდ ზიანს აყენებს საფრანგეთის ნახშირის ტრანსპორტს, რადგანაც ნახშირის ამოღების ცენტრი არხში გემით მიმოსვლის შეჩერებით მოწყვეტილი იქნება მთავარ ქალაქებს. უკანასკნელი ფრანგული ცნობებით რეინის არხის მახლობლათ იყო დაწყობილი საფრანგეთში გასაგზავნათ მილიონ ნახევარი ტონი ნახშირი. ამ ნახშირის გადაგზავნა ამ ჟამათ აფეთქების გამო შეუძლებელია.

ესსენის მსხვერპლთა დაკრძალვა

მოსკოვი. 12 აპრილი. პროცესია ფრანგების მიერ ესსენის ამბების დროს დახოცილ 13 მუშის დაკრძალვა მოხდა ესსენში დიდძალი ხალხის თანდასწრებით. კუბოებს მიჰყვებოდა 84.000 მუშა პროცესიაში მონაწილეობას იღებდა 400.000 კაცი. 100-ზე მეტი წითელი დროშა ფრიალებდა პროცესიაზე.

კომუნისტებს მიჰქონდათ წინ საბჭოთა ვარსკვლავი. მუშაობა ესსენში ყველგან შესწყდა. მოხსნილ იქნა ქუჩებში ფრანგების დარაჯები. დაკრძალვის დღეს მთელ გერმანიაში გაისმოდა სამგლოვიარო ზარის რეკა. ბერლინში დემონსტრაციის ცენტრათ იყო რეიხსტაგი, რომლის სხდომაზე დაესწრენ ესსენის დელეგატები, რომელნიც ისხდნენ საპატიო ადგილებზე გერმანიის კანცლერმა კუნომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობა მზადაა შეუთანხმდეს ფრანგებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გასწმენდენ რურს და შეამცირებენ სარეპარაციო ვალდებულებებს და თუ დაცული იქნება რურის და რეინის ოლქის ტერიტორიალური მთლიანობა.

ახლო აღმოსავლეთი

ოსმალეთის დელეგაციის შემადგენლობა.

პარიზი. 12 აპრილი. ოსმალეთის დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ ისმეტ ფაშა, რიზა-ნური-ბეი, ოსანბეი და სხვები. მათთან იქნებიან ოთხი მრჩეველი, ექსპერტები და მდივნები. დელეგაცია ჩავა კონსტანტინოპოლში, იქიდან გაემგზავრება ლოზანაში.

სიმძიმის ცენტრი.

ბერლინი. 12 აპრილი. ოსმალეთის დელეგაციის წევრები განწყობილნი არიან პესიმისტურათ, თუმცა ფიქრობენ, რომ მოლაპარაკებანი დასრულდება სასურველად. დელეგაციის აზრით სიმძიმის ცენტრი ამ ჟამად ეკონომიურ საკითხებშია.

ოსმალეთის პასუხი.

მოსკოვი. 12 აპრილი. ანგორის მთავრობის პასუხი მოკავშირეთა უკანასკნელ ნოტაზე, ჩააბარეს მოკავშირეთა კომისრებს კონსტანტინოპოლში 8 აპრილს. ნოტა შეიცავს ეკონომიურ და იურიდიულ საკითხებში მთელ რიგ ცვლილებებს. ოსმალეთის მთავრობა წინადადებას იძლევა მოწვეული იქნეს ლოზანის კონფერენცია 23 აპრილს.

მოკავშირეები თანხმდებიან.

მოსკოვი. 12 აპრილი. ოსმალეთის უკანასკნელ კონტრ-წინადადებებზე პასუხში მოკავშირეები აღნიშნავენ, რომ ისინი ეთანხმებიან ოსმალეთის მოთხოვნილებებს გამოდიან რა იმ მოსაზრებიდან, რომ ოსმალეთში დაცული უნდა იქნან უცხოელების უფლებანი და პირიქით — ოსმალეთის უფლებანი მოკავშირეთა სახელმწიფოებში. ოსმალეთისადმი სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ, მოკავშირეები წინადადებას აძლევენ თავიანთ მოქალაქეთ, ვინც ამაში დაინტერესებულია, თვით დაიწყონ მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან.

ოსმალეთი და ანტანტა

ჩესტერის კონცესია ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული.

ბერლინი. 12 აპრილი. „ჩიკაგო ტრიბუნი“ იუწყება კონსტანტინოპოლიდან, რომ ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ მისცა ამერიკის ადმირალს ჩესტერს ნავთის კონცესიები მოსულში, ოფიციალურათ არ მტკიცდება.

კონცესია არ უნდა იქნეს დამტკიცებული.

ბერლინი. 12 აპრილი. იხილავს რა ჩესტერის კონცესიის საკითხს, ჟურნალი „დე სტამბული“ სწერს: „ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის ახალი შემადგენლობა კვლავ განიხილავს ჩესტერის წინადადებას მოსულის კონცესიის შესახებ. თუ პროექტი დამტკიცდა, ოსმალეთი გადაიქცევა ამერიკის კოლონიათ“.

დიდი ეროვ. ყრილობა წინააღმდეგია კონცესიის.

პარიზი. 12 აპრილი. ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობამ ორი საათის კამათის შემდეგ უარყო ჩესტერის კონცესიის გზით ამერიკასთან მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცების სურვილი.

პროპაგანდა არ ეხმარება.

პარიზი. 12 აპრილი. მიუხედავათ გაცხოველებულ პროპაგანდისა ოსმალეთში, ჩესტერის პროექტი ნავთის კონცესიების შესახებ მოსულში ვერ პოულობს ნიადაგს. ამ პროექტით ანატოლიის რკინის გზები უნდა გადავიდნენ ამერიკის კონტროლის ქვეშ.

ბალკანეთში

ისევ „ფედერაცია“

ბერლინი 12 აპრილი. „ჟორნალ დ-იტალიას“ ცნობით, სამხრეთ-სლავიის მთავრობას განზრახული აქვს გადასინჯოს სახელმწიფოს კონსტიტუცია და შექმნას ფედერაცია 4 ავტონომიურ ნაწილისაგან—სერბია, ჩერნოგორია, კროაცია და ჩეხოსლოვაკია.

შეღავათები ბოლგარიას.

ბერლინი 12 აპრილი. „ნიუის ვინერ ჟურნალის“ ცნობით, საკონტრიბუციო კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად შემცირებულ უნდა იქნას ბოლგარიაზე დაწესებული კონტრიბუცია 500 მილ. ოქროს ფრანკამდე. პირველ 5 წლის განმავლობაში ბოლგარიამ უნდა გადაიხადოს მხოლოდ 5 მილ., დანარჩენი ჯამი კი გადახდილ უნდა იქნას 40 წლის განმავლობაში.

მდგომარეობა ჩერნოგორიაში.

რომი. 11 აპრილი. მდგომარეობა ჩერნოგორიაში თანდათან მწვავდება. მთელ მხარეში მიდის აჯანყებულთა მოძრაობა, რომლის წინააღმდეგ სამხრეთ-სლავიის მთავრობა გზავნის ჯარებს. სახელმწიფოში მეფობს უკიდურესი სიღარიბე. ბავშვები იხოცებიან გამოფიტვისაგან. ყოველივე ამას ზედ დაემატა მდინარე ცეტის წყალდიდობა, რომელმაც გაანადგურა ყველაზე უფრო ნაყოფიერი რაიონები და დაღუპა მოსავალი. ცეტინიე და ახალი ბაზარი სრულიად დაფარულია წყლით.

პოლონეთის რეაქციის მუშაობა

ნაძირალები მოქმედებენ.

მოსკოვი. 12 აპრილი. ვარშავიდან იუწყებიან, რომ დემონსტრაცია ციპლიაკის პროცესზე გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც მისი მომწყობთა აზრით უნდა ყოფილიყო „კულტურული პროტესტის“ ხასიათის, ებრაელთა აწიოკება-დარბევით დამთავრდა. დეპუტაცია მიტინგისა, რომელზედაც მიღებული იქნა რეზოლიუცია კომუნისტების წინააღმდეგ საველე სასამართლოების შემოღების შესახებ და აგრეთვე სეიმიდან კომუნისტ დეპუტატების კრულიკოვსკის და ლანცუცკის გაძევების შესახებ მიიღო სიკორსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ ის უარს არ ამბობს პოლონეთის მოქალაქეების უფლებების დაცვაზე რუსეთში. მიუხედავათ ამისა, სიკორსკი კომუნისტების მიმართ უკიდურესი ზომების მიღების წინააღმდეგ წავიდა, რომ ამით არ იქნას გამოწვეული ახალი რეპრესიები საბჭოთა მთავრობის მხრივ. მიტინგის შემდეგ ნაძირალების ბრბო დაიშალა მთელს ქალაქში და სცემა ებრაელებს. ებრაელების რბევამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული გახდა ჯარები გაეგზავნა ნაძირალების წინააღმდეგ. მრავალი ებრაელი მოკლეს და დაჭრა.

ინგლისში

საჰაერო მიმოსვლა ინდოეთთან

ლონდონი. 10 აპრ. ინგლისის გზათა სამინისტროს წრეებში აღძრულია საკითხი ინგლისსა და ინდოეთს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ. ფიქრობენ, რომ გზა, რომლის განვლას სჭირდებოდა 8 დღე, განვლილ იქნება 9 საათის განმავლობაში. განზრახულია აგრეთვე საჰაერო მიმოსვლის მოწყობა კალკუტასა და ბომბეის შორის.

ტომასი გაფიცვის წინააღმდეგია.

მოსკოვი. რკინის გზელთა მასიურ მიტინგზე ტომასმა აღნიშნა, რომ მწარმოებელთა ლტოლვა შეამცირონ ხელფასი ქმნის აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც იწვევს საერთო უბედურებას. ტომასის განცხადება იმის შესახებ, რომ დელეგატების უკანასკნელმა კონფერენციამ გადასწყვიტა უარი სთქვას ყოველგვარ მოლაპარაკებაზე და გამოაცხადოს საერთო გაფიცვა, იმ შემთხვევაში, თუ რკინის გზის კამპანიები მოითხოვენ ხელფასის შემცირებაზე, გამოიწვია ხანგრძლივი ტაშის ცემა მიტინგზე მყოფ მუშების მხრივ. ეს არ მოეწონა ტომასს და მან შენიშნა: „მე არ ვიცი რა საჭიროა ეს ენტუზიაზმი პირადად ჩემში გაფიცვების პოლიტიკა არავითარ აღფრთოვანებას არ იწვევს“.

ირლანდიის ამბები.

პარიზი. 12 აპრილი. დუბლინიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარებმა ხელახლად დაამარცხეს ირლანდიის აჯანყებულები. დე ვალერამ და სხვა ხელმძღვანელებმა მოასწრეს გაქცევა. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ამ შემთხვევის დროსაც კი ვერ მოახერხეს მათი ხელში ჩაგდება.

მოლაპარაკება სოფლის მუშებთან უშედეგოთ დამთავრდა.

მოსკოვი. 12 აპრილი. ფერმერების და სასოფლო მეურნეობის მუშების კონფერენცია უშედეგოთ დასრულდა. სხდომის დასაწყისში ფერმერების ერთმა წარმომადგენელმა დემონსტრაციულად დასტოვა დარბაზი მუშათა კავშირის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელი გადაწყვეტილებაც მოითხოვდა ფერმებიდან საქონლის მკვებავ მუშების გამოძახებას. მუშათა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: თუმცა მუშებს უყვართ რქიანი საქონელი, მაგრამ ცოლშვილი უფრო ძვირფასია მათთვის. თუ ფერმერები ზრუნავენ თავიანთ საქონელზე დეე მისცენ მუშებს ხელფასის მინიმუმი მაინც.

ინგლისის რკინის გზების შემოსავალი.

მოსკოვი. 12 აპრილი. ინგლისის რკინის გზების შემოსავალი 22 წელში აღემატებოდა გასავალს 48 მ. გირ სტ.

ირლანდიის სამოქალაქო ომის მსხვერპლი.

მოსკოვი. 12 აპრილი. ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად მარტის განმავლობაში ირლანდიაში მოკლულია 136 კაცი და დაჭრილია 80. დანგრეულია ამ ხნის განმავლობაში 67 შენობაზე მეტი.

ინციდენტი ინგლისის თემთა პალატაში.

ლონდონი. 12 აპრილი. გამოვიდა რა პალატაში მთავრობის დამარცხების გამო, ბონარ ლოუს მოადგილემ ბალდუინმა განაცხადა, რომ მისი აზრით ეს დამარცხება არ წარმოადგენს უნდობლობის გამოცხადებას მთავრობისადმი. ოპოზიციის წევრებმა ხელახლად გაილაშქრეს მთავრობის მიერ შეტანილ წინადადებების წინააღმდეგ. ამასთანავე გამოსვლების სისასტიკის გამო თავმჯდომარემ წაართვა მათ სიტყვის უფლება. სიტყვის წართმევის საპასუხოთ მუშათა პარტიის წევრები გამოვიდნენ სასტიკი პროტესტებით. მოხდა აურ-ზაური, რის გამო სხდომა შეწყვეტილ იქნა და გადაიდო მეორე დღისათვის.

ინგლისის კაბინეტის კრიზისის შესაძლებლობა.

რომი. 12 აპრილი. თემთა პალატაში კენჭის ყრის გამო, რომლის შედეგად ბონარ ლოუს მთავრობას ყოფილ სამხედრო მოსამსახურეების სამოქალაქო სამსახურში მიღების საკითხის შესახებ, გამოეცხადა უნდობლობა. ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია კაბინეტის კრიზისი.

ეშინიათ კომუნისტების

ვოლის განცხადება

მოსკოვი. 12 აპრილი ამერიკის მუშათა ფედერაციის რეაქციონურმა ვიცე პრეზიდენტმა ვოლმა მიმართა მთავრობას მოთხოვნილებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ შეწყვეტილი უნდა იქნეს ფოსტერის დევნა, კომუნისტური პროპაგანდის გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით. ვოლლი აღნიშნავს, რომ **ფოსტერის პროცესმა ხელი შეუწყო კომუნისტური პარტიის გამარჯვებას** და რომ მთავრობამ ამ პროცესით მხოლოდ ფართო რეკლამა მისცა კომუნისტებს.

კაპიტალის წინააღმდეგ

ფაბრიკანტები ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წინააღმდეგ

მოსკოვი. 12 აპრ. ფაბრიკანტების კავშირმა მოაწყო თათბირი ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კომიტეტების შემოღების პროექტის გამო. მიტავის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასეთი კომიტეტების შემოღების შემთხვევაში ისინი დახურავენ ფაბრიკებს. თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც დაუშვებლად სთვლის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარებას. **მუშები კი თავის მხრივ დაჟინებით მოითხოვენ ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების შემოღებას.** პროფკავშირების კურლიანდიის ბიურომ და ლატვიის ფაბრიკის მუშების კავშირმა გამოიტანეს სასტიკი საპროტესტო რეზოლიუცია ფაბრიკანტების მიერ მიღებული დადგენილების წინააღმდეგ. **მუშებმა გადასწყვიტეს წარმოადგინონ პირველ მაისს ლოზუნგი წარმოებაზე მუშების კონტროლის შესახებ.**

შვეციის მთავრობის კრიზისი

დაწვრილებითი ცნობები.

მოსკოვი. 12 აპრილი. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ საპარლამენტო კომისიის მიერ კომპრომისული პროექტის უარყოფის გამო, შეიქმნა მთავრობის კრიზისი. მთავრობამ წინადადება მისცა შეეცვალა კანონი უმუშევართა შესახებ ისე, რომ უმუშევართ, რომლებმაც უმუშევრად დაჰყვეს 8 თვეზე მეტი, არ დაკარგოდათ დახმარების მიღების უფლება. კონსერვატორები, ლიბერალების ნაწილი და გლეხთა კავშირის წევრები ამ კომპრომისული პროექტის წინააღმდეგ წავიდნენ. კამათს ამ საკითხის შესახებ მეტად მწვავე ხასიათი მიეცა. კომუნისტმა ვინბერგმა სთქვა, რომ ბურჟუაზიული პარტიები არ საჭიროებენ სოციალ დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც გამოიყენეს საჭირო პერიოდში მუშების დასამშვიდებლათ.

სხვადასხვა ამბები

სირია

საფრანგეთის კარნახით.

მოსკოვი, 12 აპრილი. ბეირუთის გაზეთი „ელი ახვალი“ ეხება რა მდგომარეობას სირიაში სწერს: „არსებული მთავრობა ანტი-ნაციონალურია. სირიაში არ არის საყოველთაო საარჩევნო უფლება და მთავრობის მთელი მოქმედება სწარმოებს საფრანგეთის კარნახით“.

აფრიკა

არაბების აჯანყება.

მოსკოვი, 12 აპრილი. გაზეთი **„ელ მუკატები“ იუწყება, რომ იტალიის ტრიპოლიტანიაში აჯანყება იზრდება.**

ეგვიპტე

ახალი დაპატიმრებანი.

მოსკოვი, 12 აპრილი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ ეგვიპტეში **ინგლისის რაზმებზე ყუმბარების ჩაგდების გამო მოხდა მრავალი დაპატიმრებანი.**

გაზეთ „ალეფბა“-ს ცნობით, ეგვიპტეში ბიდუინებმა გადაწყვიტეს განაცხადონ პროტესტი ეგვიპტეს კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ზნე-ჩვეულებას. სერკეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ხალხი მოითხოვს სიკვდილის დასჯის გაუქმებას და პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებას, აგრეთვე პოლიტიკურ დევნილების სამშობლოში დაბრუნებას.

ლატვია

რუსეთთან ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი. 12 აპრილი. ლატვიის ფინანსთა მინისტრმა ბუშევიცმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე აღნიშნა, რომ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხში არის ზოგიერთი უთანხმოებანი. ფინანსთა სამინისტრო ცდილობს მოახერხოს ლატვიის ნაწარმოების რუსეთში უბაჟოთ შეზიდვა, აძლევს რა ასეთსავე უფლებას რუსეთს.

ჩინეთი

ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი

მოსკოვი. 12 აპრილი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ ველინგტონ-კუ დანიშნულია ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე.

რუმინეთი.

საალყო წესების წინაშე

მოსკოვი. 12 აპრილი. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ხმებს რუმინეთში სერიოზული მღელვარების შესახებ, მდგომარეობა იქ მაინც ძლიერ გართულებულია. პარლამენტის შენობას იცავს შეიარაღებული რაზმი. **პარლამენტის ოპოზიციის წევრები იმყოფებიან შინაური დაპატიმრების ქვეშ. მთავრობას განზრახული აქვს გამოაცხადოს საალყო წესები და მობილიზაცია.**

ამერიკა.

ბორის რუსეთში გამგზავრების შესახებ

მოსკოვი. 12 აპრილი. სენატორმა ბორამ „როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საკითხში მისი რუსეთში გამგზავრების შესახებ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაჭრილი. გამგზავრება დამოკიდებულია ამერიკის საქმეების მსვლელობაზე.

ჩეხო-სლოვაკია.

მუშებს გაჰყავთ კომუნისტები.

მოსკოვი. 12 აპრილი. პრაგაში საქარხნო კომიტეტების არჩევნების დროს მეტალურგიის 25 დიდი ქარხნის მუშებმა გაიყვანეს 93 კომუნისტი, 45 სოციალ-დემოკრატი და 36 ნაციონალისტი.

იაპონია.

იაპონიის მუშები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის ცნობას.

მოსკოვი. 12 აპრილი. იაპონიის შრომის ფედერაცია 1 მაისის დემონსტრაციებისათვის ამზადებს ლოზუნგებს რვა საათის სამუშაო დღის, უმუშევრობასთან ბრძოლის, მოგებაში მუშების მონაწილეობის და საბჭოთა რუსეთის ცნობის მოთხოვნის შესახებ.

საფრანგეთი.

საბჭოთა რუსეთი არის წევრი საერთაშორისო რკინისგზელთა კავშირის.

მოსკოვი. 12 აპრილი. გაზ. „ჟურნალ ინდუსტრიელი“ იტყობინება, რომ საერთაშორისო რკინისგზელთა კავშირმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა რუსეთის კავშირის წევრად მიღების შესახებ.

სიკვდილი მკვლელ პუანკარეს.

მოსკოვი 12 აპრილი. პარიზიდან მიღებულ ცნობის თანახმად 5 აპრილს პუანკარეს მიერ ომის გამოფენის დათვალიერების დროს ერთმა უცნობმა ქალმა ასტეხა ყვირილი: „სიკვდილი მკვლელ პუანკარეს“. ქალი დააპატიმრეს.

შემთანხმებელნი წინააღმდეგნი არიან ერთიანი ფრონტის.

მოსკოვი. 12 აპრილი. საფრანგეთის შემთანხმებლებმა უარყვეს უნიტარულ კონფედერაციის წინადადება ერთიან ფრონტის შესახებ და უარი სთქვეს დაემორჩილონ ფრანკფურტის კონფერენციის დადგენილებას.

უნგრეთში

საგაფიცვო ტალღა იზრდება.

მოსკოვი. 12 აპრილი. გაფიცვების ტალღა უნგრეთში იზრდება მუნიციპალურ მუშაკთა პროფკავშირის დაშლის შემდეგ ბუდაპეშტის კომუნალურმა მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებიც შედიან ქრისტიანულ-სოციალისტურ პარტიაში, გაფიცვა გამოუცხადეს, 9 აპრილს ბუდაპეშტში ფურნეებმა, წყალსადენმა და ელექტრო-სადგურმა ნახევარ-საათის გაფიცვა მოაწყვეს.

ბრძოლა გრძელდება.

მოსკოვი. 12 აპრილი. ტრანსილვანიაში ხელფასისათვის ბრძოლა გრძელდება. მაისის პირველ რიცხვებში მოელიან საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერებას.

საგანგებო წესები მემელში.

მოსკოვი. 12 აპრილი. მდგომარეობა მემელში დიდათ გამწვავდა. ქალაქში გამოცხადებულია საგანგებო წესები. ბრბო, რომელიც შეეცადა მოეხდინა ქუჩაში დემონსტრაცია, გარეკილი იქნა ლიტოველ ჯარის კაცების მიერ.

კამჩატკის კონცესიები.

მოსკოვი. 12 აპრილი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საკონცესიო ხელშეკრულება ინგლისურ ფირმა „ჰუდზონბეი“-სთან შესახებ სავაჭრო ოპერაციებისა კამჩატკისა და ჩუკოტის ნახევარ კუნძულებზე. ხელშეკრულების ვადა გამორკვეული იქნება 1923 წლის ოპერაციებით.

მოწოდება

წითელ ლაშქარში გასაწვევ ახალგა[illegible]

[illegible]

ამ დღეებში გამოცხადდა 1901 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის წითელ ლაშქარში გაწვევა.

საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლება ძლევამოსილ წითელ ლაშქრის რიგებს ავსებს რევოლიუციონური ახალგაზრდობის ახალი კადრით.

ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ წითელ ლაშქარში გასაწვევი ახალგაზრდობა პირნათლად შეასრულებს თავის ვალს, რადგან მას კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს წ. ლაშქარი, რა მიზნებს ემსახურება და ვის ინტერესებს იცავს იგი.

ჩვენ გვახსოვს ძველი რეჟიმი, როდესაც ჯარში გაწვევა მიჩნეული იყო როგორც პიროვნების მიწასთან გასწორება, მისი უსულო მანქანად გადაქცევა. იმ დროს გასაგები იყო ახალგაზრდობის ცდა ჯარში გაწვევისაგან, მეფის ყაზარმისაგან თავის დაღწევისა. დღეს თვითეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რას წარმოადგენდა მონარქისტული ჯარი, ვის ემსახურებოდა და ვისთვის იბრძოდა იგი. მეფის დროინდელი ლაშქარი წარმოადგენდა ისეთს სამხედრო ორგანიზაციას, რომლის დანიშნულება იყო გაბატონებული კლასების: მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესების დაცვა. მშრომელთა კლასის რევოლიუციონურ შემოტევისაგან. მეფის დროინდელ ჯარის კაცს თვითმპყრობელ მონარქიის დამცველი უნერგავდნენ იმ აზრს, რომ იგი წარმოადგენს უბრალო მანქანას, რომელმაც უსიტყვოთ უნდა აასრულოს უფროსის ბრძანება და თავი შესწიროს სარწმუნოებას, მეფის ინტერესებს.

რუსეთის რევოლიუციონერმა გრიგალმა ულმობლად წალეკა ძირმპალი ცხოვრების უკუღმართი ნიადაგი და მის ნაცვლად განახლებული ცხოვრების საფუძვლები დაამკვიდრა მონარქიულ რუსეთის ნანგრევებზე. აღმოცენებულმა მუშურ გლეხურმა ხელისუფლებამ შექმნა მშრომელთა დიქტატურის საიმედო გუშაგი—წითელი ლაშქარი, რომელმაც ხუთი წლის შეუწყვეტელი ბრძოლის პროცესში აღგავა საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

როგორ შესძლო წითელმა ლაშქარმა უთვალავი შინაური და გარეშე მტრების დამარცხება? წითელი ლაშქრის უძლეველობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მას კარგათ ესმის თუ რისთვის და ვისთვის იბრძვის იგი. თვითეულმა წითელ არმიელმა კარგათ იცის, თუ რას მოასწავებს საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება მშრომელთა ხალხისათვის.

წითელი ლაშქარი არის არა მარტო სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც ევალება საბჭოთა ტერიტორიის დაცვა გარეშე და შინაური მტრებისაგან, არამედ ის არის საუკეთესო კულტურული პოლიტიკური სკოლა, სადაც თვითეული მოლაშქრე ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში და ღებულობს სათანადო ცოდნა-განვითარებას. საქართველოს ახალგაზრდა წითელი ლაშქარი უნდა გახდეს იმ ძალად, რომელიც რისხვად მოევლინება მშრომელთა ხალხის მტრებს და ამავე დროს თავის რიგებში არ დასტოვებს წერა კითხვის არც ერთ უცოდინარს და უმეცარს.

წარსულის მაგალითები ამ მხრით დიდი იმედებს გვაძლევს.

ქართულ წითელ ლაშქარში არ დარჩენილა არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი მოლაშქრე. ეს დიდი კულტურული გამარჯვებაა.

წითელი ლაშქარი ძლიერია არა მარტო თავის ორგანიზაციით და კულტურით, არამედ შეგნებით და იდეალებითაც. საქართველოს წითელი ლაშქარი არის მსოფლიო წითელი ლაშქარის ერთი რაზმთაგანი, რომელსაც ვალად აწევს მეტად მნიშვნელოვანი როლის შესრულება საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვების საქმეში. ჩვენი ქვეყანა გეოგრაფიულად ხიდია აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს, საქართველოს წითელმა ლაშქარმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს მსოფლიო კაპიტალისტებთან ბრძოლაში, რისთვისაც ჩვენ გვმართებს მისი რიგების განმტკიცება და გაფოლადება.

ამ ჟამად, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება შემოქმედებითი აღმშენებლობაშია ჩაბმული, როდესაც საბჭოთა ქვეყნის მშრომელი ხალხი საფუძველს უყრის განახლებულ მშვიდობიან ცხოვრებას—წითელი ლაშქარი მხნე გუშაგათ უნდა დადგეს მუშურ გლეხურ რესპუბლიკის სადარაჯოზე. ძლიერი, ურყევი, ფოლადისებური რიგები წითელი ლაშქრისა საუკეთესო საწინდარია იმის, რომ საბჭოთა ქვეყნის აღორძინების, გაძლიერების საქმე და ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მიერ წამოყენებული ლოზუნგები სრულ განხორციელებას პოვებენ.

ის, ვინც წითელ ლაშქარს გაურბის—მტერია არა მარტო საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის, არამედ საკუთარი თავისაც.

წითელი ლაშქრის დეზერტირი მტერია არა მარტო მუშურ გლეხური საქართველოსი, არამედ მსოფლიო მუშათა კლასისაც.

ჩვენ მოუწოდებთ წითელ ლაშქარში გასაწვევ ახალგაზრდობას პირნათლად შეასრულოს თავისი ვალი მუშურ გლეხურ სამშობლოს და მთელი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე. წითელი ლაშქრის რიგებში ადგილი არ უნდა დაურჩეს დეზერტირებს.

წითელი ლაშქრის რიგები უკლებლად უნდა შეივსოს ახალგაზრდობის ახალი კადრით.

უძლეველი წითელი ლაშქარი თავის შემადგენლობით მუშებისა და გლეხებისაგან არის საუკეთესო გარანტია ჩვენი სრული გამარჯვებისა.

გაუმარჯოს ინტერნაციონალურ წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯარს.

სალამი თქვენ, ახალგაზრდობავ, რომელნიც შეავსებთ სახელოვან წითელ ჯარის რიგებს!

ქართული ჯარების პოლიტიკური განყოფილების უფროსი

თენგიზ ჟღენტი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

მოსკოვი. 12 აპრილი მემელის მუშათა ორგანიზაციებმა გადასცეს დირექტორიას მოთხოვნილება სამხედრო წესების მოხსნის შესახებ. მოითხოვენ აგრეთვე მოქალაქობრივ თავისუფლების აღდგენას, პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას, სიძვირესთან ბრძოლას და დაწესებულებებში გერმანულ ენის შენახვას. მუშათა მოთხოვნილებების უარყოფამ გამოიწვია საერთო გაფიცვა ფაბრიკებში, მაღაროებში, ფოსტაში, ტელეგრაფში, წყალ სადენში და ელექტრო-სადგურში. ორი დღის განმავლობაში მემელში ზედი-ზედ ხდებოდა მიტინგები და დემონსტრაციები. პროვინციებში ვრცელდება მოწოდებები, სადაც მოუწოდებენ სოფლის მუშებს მხარი დაუჭირონ გაფიცვებს. ხელისუფლებამ მოახდინა აუარებელი დაპატიმრებანი.

მჭედლების გაფიცვა.

მოსკოვი. სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობით, ნორვეგიაში დაიწყო მჭედლების გაფიცვა, მჭედლები მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას.

მეზღვაურთა გაფიცვა.

რომი. 12 აპრილი. ატლანტის გემი „ფრანსი“, რომელიც მზათ იყო ნავთსადგურ გავრიდან გასასვლელათ, იძულებული შეიქნა შეჩერებულიყო გემის მეზღვაურთა გაფიცვის გამო.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის პროდუქტების გაზიდვა.

ბაქო. 11 აპრილი. 5 აპრილიდან 9 აპრილამდე ბაქოდან ასტრახანში გაზიდულია შავი ნავთის პროდუქტები 1.367, 715 ფუთი, ბაქოდან კრასნოვოდსკში 33072 ფ. ნავთი და 30344 ფუთი შავი ნავპროდუქტები. პეტროვსკიდან ასტრახანში გაიზიდა პარაფინის ნავთი 319543 ფ., პეტროვსკიდან კრასნოვოსკში იგივე ნავთი—206362 ფ.

ამხ. სტალინი პასუხისმგებელი ნავთის მქაჩავი.

ბაქო. 11 აპრილი. საბუნჩინის რაიონის მე 5, 6 და 7 სამრეწველოებმა დაადგინეს ჩარიცხონ ამხ. სტალინი პასუხისმგებელი ნავთის მქაჩავათ და მისი ხვედრი ჯამაგირი გადარიცხონ კულტურულ-განმანათლებელ საქმეებისათვის.

სკოლების შეკეთება.

ნუხა. 10 აპრილი. ნუხის მაზრაში სკოლების შეკეთება გრძელდება. საამშენებლო მასალისა და ტეხნიკოსების სათანადო რაოდენობის უქონლობის გამო მუშაობა მიმდინარეობს ნელის ტემპით.

„ბაქოს მუშა“.

ბაქო. 10 აპრილი. 14 აპრილიდან დაწყებული „ბაქოს მუშა“ გამოვა დღეში ორჯერ.

სომხეთი

მილიცია.

ერევანი. 11 აპრილი. მილიციისა და მუშათა და გლეხთა მასების შორის კავშირის გასაძლიერებლათ დადგენილია გავრცელდეს შეფობა მილიციაზე. სამაზრო მილიციები მიმაგრებულ იქნება აღმასკომებზე, რეზერვი—სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოზე და სამილიციო კურსები—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოზე.

რესპუბლიკანური სასამართლო.

ერევანი. 11 აპრილი. სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა რესპუბლიკანური სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. აშრაფიანი, მისი მოადგილეები ბაღდასარიანი და გალიჩიანი და 6 წევრი.

10 აპრილს მოხდა რესპუბლიკანური სასამართლოს საზეიმო გახსნა. პირველი სიტყვა წარმოსთქვა სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. აშრაფიანმა, რის შემდეგ დაიწყო მისალმებანი.

შრომის მუშაკთა თათბირი.

ერევანი. 11 აპრილი. ტფილისის თათბირის დასრულების შემდეგ შრომის სახალხო კომისარი იწვევს შრომის მუშაკთა თათბირს ერევანში.

მენშევიკების განცხადება

მბეჭდავთა კავშირის წევრების მენშევიკ მუშების.

პატივცემულო რედაქტორო!

ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, ყოფილი წევრები ს. დ. მენშევიკური პარტიისა, დავრწმუნდით რა ხსენებულ პარტიისაგან მუშათა კლასის მიმართ ღალატში, ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ბოლშევიკური მთავრობა არის მუშებისა და გლეხების ნამდვილი ინტერესების დამცველი და ვსდგევართ საბჭოთა სისტემის თვალსაზრისზე.

ახლათ ჩამოსხმელი ქარხანა.		
1. **ოგანეზოვი** გრიგოლ ნაზარის ძე	პარტ. წევრი	1904 წ.
მე-2 სტამბა.		
2. **ჟორჟენაძე** ვიქტორ	„	1910 წ.
3. **ახალკაციშვილი** ვასო	„	1905 წ.
მე-4 სტამბა.		
4. **ქირქაშიძე** ვანო	„	1905 წ.
5. **დარბაისელი** არჩილ	„	1918 წ.
6. **ვაჭარიძე** კოწია	„	1902 წ.
მე-5 სტამბა.		
7. **ზოხუა** პანტელეიმონ	„	1910 წ.
8. **ოთარაშვილი** ვანო	„	1920 წ.
9. **ღლონტი** გიორგი	„	1905 წ.
10. **გოჩიტაშვილი** დავით	„	1912 წ.
11. **ლომთათიძე** ხარიტონ	„	1903 წ.
12. **თამაზაშვილი** მიხეილ	„	1911 წ.
13. **ახაიშვილი** მიხეილ (უმუშევარი)	„	1905 წ.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, აშკარათ დავინახეთ, რომ მენშევიკური პარტია და მისი იდეოლოგია ასცდა ჭეშმარიტ სოციალისტურ გზას. ჩვენთვის ეხლა ნათლად სჩანს, რომ ნამდვილი სწორი გზა კომუნიზმის მისაღწევათ, ეს არის გზა პროლეტარიატის დიქტატურისა. მენშევიკურმა პარტიამ უარყო რა პროლეტარიატის დიქტატურა, მით შეურიგდა ბურჟუაზიის დიქტატურას და მოქმედებდა ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ. რუსეთში ოქტომბრის რევოლუციით გაბრაზებულმა მენშევიკებმა დაუწყეს სასტიკი ბრძოლა გამარჯვებულ პროლეტარიატს, შეურიგდნენ და დაუკავშირდნენ თეთრ გენერლებს. მაგრამ ისტორიამ თავისი ჰქნა: მენშევიზმი მოკვდა. საქართველოში მენშევიკურმა პარტიამ დაიწყო მახლობელ ერებთან ბრძოლა, შემოუშვა ანტანტის ჯარები და ამ გზით შეიქნა ანტანტის ლაქია. თუ მივიღებთ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის სინამდვილესა ვნახავთ, რომ ეს დამოუკიდებლობა იყო ფიქცია. საქართველო იყო ანტანტის კოლონია; თუ რომ სიმართლეს ვიტყვით, სინამდვილეში ეს „დამოუკიდებლობა" იყო შეთხზული ბოლშევიზმის და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და წარმოადგენდა ანტანტის ბრმა იარაღს. მენშევიკები ასრულებდნენ პოლიტიკას ანტანტის მიერ ნაკარნახევს. ამ გზით ისინი შეიქნენ ყურმოჭრილი მონა ანტანტის იმპერიალიზმის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს მათ გაიტაცეს ქართველი ხალხის ქონება. 1922 წელს მესამე კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მოუწოდა **ორ-და-ორნახევარ** ინტერნაციონალებს მთლიანი მუშათა ფრონტის განსახორციელებლათ კაპიტალიზმის საწინააღმდეგოთ. მენშევიკებმა ეს წინადადება უარყვეს და შეჰკრეს ფრონტი კაპიტალისტებთან. ჩვენ, მენშევიკური პარტიის წევრებმა დავინახეთ, დავაფასეთ რა მენშევიკური საქმიანობა, ეხლა ვსტოვებთ ამ პარტიას და უერთდებით მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის მოწოდებას და ვიძლევით პატიოსან სიტყვას, დღეიდან ვიბრძოლებთ მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მოუწოდებთ მთელ მუშათა კლასს და ყველა ჩვენს ყოფილ პარტიულ ამხანაგებს დასტოვონ მენშევიკური პარტია და შეურიგდნენ მუშათა კლასის ინტერესების დამცველ მესამე ინტერნაციონალს.

ძირს ორი და ორი ნახევარი ყვითელი ინტერნაციონალები!

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს და მუშათა კლასს.

1. **ციხკარიძე** კალენიკე ივ.	„	1920 წ.
2. **Ведианидзе** Николай Іосифовичъ		
3. **ხმალაძე** ვალერიან	„	1917 წ.
4. **ფირატკოვი** სტეფანე ალექსანდრეს ძე	„	1905 წ.
5. **გეგიაძე** ივანე ანტონის ძე	„	1919 წ.
6. **ჭინუყვაძე** ნიკოლოზ ლუკას ძე	„	1919 წ.
7. **ორჯონიკიძე** მიხეილ სოლომონის ძე	„	1918 წ.
8. **ლაფაჩიშვილი** ნიკა ალექსის ძე	„	1917 წ.
9. **მჭედლიშვილი** გიგა ივანეს ძე	„	1917 წ.
10. **შევარდნაძე** კონსტანტინე	„	1918 წ.
11. [illegible] ვანო ანტონის ძე	„	1919 წ.
12. **გოგიტაური** სამსონ პავლეს ძე	„	1918 წ.
13. **კობერიძე** დიმიტრი	„	1917 წ.
14. **გურგენაძე** ბაბილინა სილოვანის ასული	„	1901 წ.
15. **გუჯაბაძე** მიშა კოსტანტინეს ძე	„	1919 წ.
16. **ფხაკაძე** ეკატერინა მათეს ასული	„	1910 წ.
17. **დურგლიშვილი** გიორგი ივანეს ძე	„	1913 წ.
18. **ხალუქვაძე** დიმიტრი ალექსის ძე	„	1917 წ.
19. **ბუკიაშვილი** ანდრო არსენისძე	„	1918 წ.
20. **გუგუნაშვილი** ნიკოლო ანდრიასძე		
21. **ურუშაძე** ვასო ხარლამპიესძე	„	1917 წ.
22. **ხიხნიაშვილი** შალვა გიორგისძე	„	1919 წ.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს!

მოქ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, საჭამიასერის თემის მუშები და გლეხები ვაცხადებთ, რომ გამოვდივართ მენშევიკური პარტიიდან.

1. **ქორიძე** ვასილ ზურაბის ძე	პარტ. წევრნი	1918 წ.
2. **კვინტრაძე** მიხეილ	„	—
3. **სეხიტარიძე** ლეონტი	„	1901 წ.
4. **გოგიტაძე** ვარლამ მარკოზის ძე	„	1918 წ.
5. **მეხხი** ერმილე დიმიტრის ძე	„	1919 წ.
6. **გუბელაძე** ვასილი ლაზარეს ძე	„	1918 წ.
7. **გურიელიძე** ქრისტეფორე ექვთიმესძე	„	—
8. **ძნელაძე** გიორგი ისიდორის-ძე	„	1919 წ.
9 **ძნელაძე** ივაკი ვასიკას ძე	„	1899 წ.
10. **კანდელაკი** გიორგი ბესარიონისძე	„	—
11. **ხალაჯაია** აბესალომ არსენის ძე	„	—
12. **ზაქარეიშვილი** ივლიანე	„	1905 წ.
13. **ბერაია** იულონ დიმიტრის ძე	„	1917 წ.
14. **კვინტრაძე** ისაკი თედორეს ძე	„	1917 წ.
15. **ზაქარეიშვილი** ვარდენ გიორგის ძე	„	1917 წ.
16. **ვაჩეიშვილი** ისიდორე სიბიტოს ძე	„	1919 წ.
17. **ჭკუასელი** სილიბისტრო თეიმურაზის ძე	„	1905 წ.
18. **ზაქარეიშვილი** ვასილ ქრისტეფორეს ძე	„	1914 წ.
19, **ხუნდაძე** ბიქტორ კონსტანტინეს ძე	„	1917 წ.
20. **ყურიცაძე** ვასილ ექვთიმეს ძე	„	1917 ს.
21 **ხანადირაძე** ალექსანდრე სამსონის ძე	„	1917 წ.
22. **დუდუჩავა** იოსებ ელიზბარის ძე	„	1902 წ.
23. **ხუნდაძე** ლევანოზ ივანეს ძე	„	1918 წ.
24. **ხუნდაძე** დათიკო მაქსიმეს ძე	„	1917 წ.
25. **კუტალაძე** აპოლონ ლუკას ძე	„	1917 წ.
26. **კუტალაძე** მელიტონ ზურაბის ძე	„	1905 წ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ გაზეთ „კომუნისტში" ჩვენს გულწრფელ განცხადებას.

სოფ. გორა-ბერეჟოულში მცხოვრებ—საქართველოს ს. დ. მ. პ. (მენშევიკების) **წევრთა კრებამ,** რომელიც მოხდა აპრილის 3-ს, განიხილა რა საკითხი პოლიტიკური მომენტის შესახებ დაადგინა: აშკარაა მენშევიკური პარტიის გაკოტრება, მისი შემთანხმებლობითი პოლიტიკა ბურჟუაზიის მიმართ, ყოველგვარ ინტერვენციების ცდა მუშათა კლასის და სოციალურ რევოლუციის წინააღმდეგ აჯანყებების მოწყობა მშრომელთა ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით. ამიტომ ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე, რომ ვტოვებთ მენშევიკურ პარტიის რიგებს და ჩვენ კლასობრივ ვალათ ვთვლით მთლიან მუშათა ფრონტის შექმნას მე-3-მე კომინტერნის წითელი დროშის ქვეშ. ფიცს ვსდებთ ხელი შევუწყოთ საბჭოთა ხელისუფლებას მსოფლიო იმპერიალიზმის საბოლოოთ დამხობისათვის.

ძირს მსოფლიო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას მთელ მსოფლიოში!

1 **ტყეშელიაძე** მიხეილ	პარ. წევრი	1908 წლიდან
2. **ხირაძე** დომენტი	„	1905 წ.
3 **მეფარიშვილი** რაფიელ	„	1917 წ.
4. **ცენტერაძე** ლუკა	„	1905 წ.
5 **ჯანბერიძე** პანტელეიმონ	„	1905 წ.
6 **კაჭარავა** სიმონ	„	1905 წ.
7. **ტყეშელიაძე** ლადიმე	„	1914 წ.
8 **დოლიძე** ალფესი	„	1915 წ.
9. **ჯანბერიძე** აბესალომ	„	1915 წ.
10 **დოლიძე** ერმილე	„	1905 წ.
11. **მეფარიშვილი** ანდრო	„	1918 წ.
12 **ბათითაიშვილი** თედორე	„	1917 წ.
13. **ბათითაიშვილი** გიორგი	„	1905 წ.
14. **მეფარიშვილი** გრიგოლ	„	1917 წ.
15. **მლევაძე** ბიჭია	„	1903 წ.
16. **სიხარულიძე** ივანე	„	1918 წ.
17. **ხირაძე** კოსტა	„	1919 წ.
18. **დოლიძე** მიტე	„	1903 წ.
19. **წულაია** ტიტიკო	„	1906 წ.
20. **ტყეშელიაძე** იაგორ	„	1903 წ.
21 **მეფარიშვილი** გიორგი კოსტ.-ძე	„	1917 წ.
22. **ტყეშელიაძე** ილიკო	„	1917 წ.
23 **ტყეშელიაძე** ბესარიონ	„	1918 წ.
24 **ჯღირია** სევასტი	„	1917 წ.
25. **ცენტერაძე** გერმანე	„	1917 წ.
26 **ცენტერაძე** პავლე	„	1905 წ.
27. **ბახილია** სოფრომ	„	1905 წ.
28 **კაჭარავა** ივანე	„	1917 წ.
29 **ქორქაძე** ნოე	„	1917 წ.
30 **კაჭარავა** კოწია	„	1905 წ.

სოფელი გორა-ბერეჟოული (ჩოხატაურის თემი)
1923 წ. 4 აპრილი

საბეითლო საქმის მდგომარეობა საქართველოში

საქონლის ჭირის მსვლელობა.

საქონლის ჭირი მარტის განმავლობაში გავრცელებული იყო გორის მაზრის ერთ პუნქტში და ტფილისის მაზრის 4 პუნქტში. საანგარიშო თვის განმავლობაში აცრილია ტფილისის მაზრაში 780 სული მსხვილი პირუტყვი კომბინაციურ მეთოდით და 29 სული შრატით. მიღებულ ზომების წყალობით ჭირი მოსპობილ იქნა გორის მაზრის ერთ და ტფილისის მაზრის ორ პუნქტში.

ჭირი სამხრეთ ოსეთში.

28 მარტს აღმოჩენილია საქონლის ჭირი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ს. იკოთში. საქართველოს მიწად-მოქმედების საბეითლო-სასანიტარო განყოფილება სასწრაფოდ შეუდგა ჭირის ლიკვიდაციას. გაგზავნა შრატი და საბეითლო პერსონალი პირუტყვების ასაცრელად.

ციმბირის ჭირი.

ციმბირის ჭირი აღმოჩენილ იქნა ოზურგეთის და ტფილისის მაზრებში. მიღებულ ზომების წყალობით ეს სენი არ გავრცელებულა და მისი სრული ლიკვიდაცია მოხდა.

ღორების დაავადმყოფება.

ალაზნის გაღმა რაიონში გავრცელებული იყო ღორების დაავადმყოფება. ამ მასიურ ავადმყოფობის გამოსაკვლევად და მის წინააღმდეგ ზომების მისაღებად გაიგზავნა სპეციალური ექსპედიცია. ამ ექსპედიციამ ბაქტერიოლოგიური გზით გამოიკვლია ეს ავადმყოფობა, რომელიც ღორების ჭირი აღმოჩნდა. ამ ჟამად ღორების მასიურ დაავადმყოფებას ადგილი არა აქვს, მაგრამ ამ ჭირმა შეიძლება გაზაფხულზე ისევ მასიური ხასიათი მიიღოს. საბეითლო განყოფილება იღებს რადიკალურ ზომებს ჭირის სრული ლიკვიდაციისათვის.

ცხვრების ყვავილი.

სიღნაღის მაზრაში გაჩნდა ცხვრების ყვავილი. საბეითლო-სასანიტარო განყოფილება მოლაპარაკებას აწარმოებს საზოგადოება „მწყემსთან" ყვავილის საწინააღმდეგო მასალის ოვინის და კაპრინის შესაძენად.

აგრარული რეფორმა

ლეჩხუმის მაზრა

10 თებერვლიდან მაზრის ხელისუფლება, შეუდგა მაზრაში მიწის რეფორმის გატარებას, წინასწარ მოხდენილ მიტინგებზე თემებში გლეხები სიამოვნებით უსმენდნენ ინსტრუქტორებს, რომლებიც უხსნიდნენ მიწის რეფორმის კანონებს.

20 თებერვლამდე არჩეულ იქნენ სასოფლო და სათემო მიწის კომიტეტები, ხოლო მის შემდეგ შეუდგნენ მიწების ჩამორთმევას.

აღსანიშნავია ის ენტუზიაზმი, რომლითაც მოცულია გლეხთა ფართო მასსა, რომელიც მადლობას უცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას, ამ სანატრელ საქმის შესრულებისათვის.

მშრომელი გლეხობა ენერგიულად შეუდგა მიწის რეფორმის გატარების საქმეს და ყოველგვარ დახმარებას უწევდა ადგილობრივ მიწის კომისიებს და ინსტრუქტორებს.

მაზრა დანაწილებულ იქნა სამ სამოქმედო რაიონებათ, სადაც ხელმძღვანელობას უწევდნენ ცენტრიდან ჩამოსული ინსტრუქტორები.

ამ ჟამათ მთელ მაზრაში, გარდა ქვემო-სვანეთისა, მიწების ჩამორთმევა დამთავრებულია და, შეკრებილ ცნობების თანახმად, ჩამორთმეულია მიწები 1.442 დესიატინა (აქ შედის სახნავი ადგილები, ტყეები, ვენახები) სახლები 59 და წისქვილები 19.

ზოგ თემებში მიწების ჩამორთმევა უკვე დამთავრდა, მაგრამ ცნობები ჩამორთმეულ მიწების რაოდენობაზე ჯერ არ მოგვსვლია.

ამასთანავე მიწების დანაწილება უკვე დაიწყო და მოკლე ხანში დამთავრდება, ასე, რომ არ დააბრკოლებს გაზაფხულის თესვის საქმეს.

„სოფლელი".

ბანძის რაიონი (სენაკის მაზ.).

განუზომელია ის აღტაცება და ენტუზიაზმი, რომელსაც იწვევს მშრომელ გლეხკაცობაში აგრარული რეფორმის გატარება. ბანძის თემის მიწკომის მუშაობა დაუფასებელია. ვინაიდან მათ შესძლეს სრულიად გამართლებიათ იმედები, რომელსაც ამყარებდა ჩვენი გლეხკაცობა. ამ მიწკომის შემადგენლობაში შედიოდა უმთავრესად უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მცირე მიწის მქონეთა და უმიწაწყლო გლეხების ინტერესებით.

ბანძის თემი:

1) ჩამორთმეულია 233 ქც. 308 კვ. საჟ.
2) განაწილებულია უმიწაწყლო მქონეთა შორის 189 ქც. 528 კვ. ს.
3) გადაეცა ბანძის თემის აღმასკომს ტყე 27 ქც. 540 კვ. საჟ.
4) სენაკის საადგილ-მამულო განყოფილებისათვის 5 ქც.
5) რჩება დასარიგებელი 1 ქც. 137 კვ. საჟენი.

ჭოლო-აბედათის თემი:

1) ზედმეტი მიწის მქონეთაგან ჩამორთმეულია 281 ქც. 398 კვ. საჟ.
2) განაწილებულია უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა შორის 238 ქც. 450 კვ. საჟ.
3) ჭოლო-აბედათის თემის აღმასკომს გადაეცა ტყე 14 ქც.
4) ჭოლო-აბედათის თემის აღმასკომს, (სასაფლაო, სკოლა, სახალხო სახლი და სხვა) 10 ქც.
5) დარჩა კომუნალურად დასამუშავებლად 18 ქც. 848 კვ. საჟ.

ლეხაინდრავო-ონოღიის თემში

1) ზედმეტი მიწის მქონეთაგან 110 ქც. 432 კვ. საჟ.
2) განაწილებულია უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა შორის 98 ქც. 217 კვ. საჟ.
3) ლეხაინდროვო-ონოღიის თემის აღმასკომს გადაეცა ტყე 3 ქც. 300 კვ. საჟ.
4) მასვე სხვა და სხვა საჭიროებისათვის 8 ქც. 815 კ. საჟ.

კირილე პატარაია.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **წყალსადენის დირექტორის მოადგილის დანიშვნა.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით, წყალსადენის დირექტორის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ტიგიშვილი.

— **ცენტრ. საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობა.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობას (ცენტროსტროის) მუშათა სახლების ასაგებათ დაწყებული მუშაობის გასაგრძელებლათ ეძლიოს კვირაში 100 მილიონი მანეთი, კომუნალურ ბანკის გახსნამდე.

— **ახალი ნიხრი ქალაქის აბანოებში.** პრეზიდიუმმა დაადგინა: 10 აპრილიდან ქალაქის აბანოებში დაწესდეს შემდეგი ნიხრი ოქროს მანეთის სახით: 1) გოგირდის აბანოებში—ნომერი საათში—50—60 კაპ. საერთო —15 კაპ. 2) ორთქლის აბანოებში—ნომერი საათში 75 კაპ. საერთო 20 კაპ.

— **წვრილი ფულის ნიშნები.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წინაშე, რათა გამოშვებული იქნეს საკმაო რაოდენობა ა.-კ. ახალი წვრილი ფულის ნიშნებისა, რომ ამ მხრივ ტრამვაის ნორმალური მოძრაობა არ იქნეს შეფერხებული.

განათლების კომისარიატში.

— **განათლების მუშაკთა სახლის გახსნა ქუთაისში.** ქუთაისში გაიხსნა „განათლების მუშაკთა სახლი", რომლის მიზანია აწარმოოს მუშაობა განათლების მუშაკთა გონებრივ ამაღლებისათვის. განათლების კომისარიატი აღუთქვამს ყოველთვიურ დახმარებას. ამ ჟამად კომისარიატმა გაუგზავნა 100 მილიონი მანეთი დახმარების სახით.

— **ამხ. ლენინის სახელობის პოლიტ.-ინსტიტუტი.** ვინაიდან ამხ. ლენინის სახელობის პოლიტ.-ინსტიტუტთან არსდება საექსპლოატაციო-სატრანსპორტო პუნქტი—განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა მუშათა ფაკულტეტის სექციის გამგეს მოიწვიოს პოლიტ.-ინსტიტუტის და რკინის გზის წარმომადგენელთაგან საგანგებო კომისია ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. კომისიის წევრებად ინიშნება პროფესორები: მიკულინი, ბაზოვი დი ოლევსკი, თავმჯდომარეთ ამხ. ბირიუკოვი. კომისიის მუშაობის შედეგი უნდა დაამტკიცოს გან. კომისარიატმა.

ა.-კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

— **სახელმწიფო დახმარების განყოფილება.** მარტის თვის განმავლობაში სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ დაუნიშნა პენსია 19 კაცს (თვიურად). დახმარებიდან მოიხსნა 8. ძველ პენსიონერთა შორის პენსიაზე დარჩა 2 1 აპრილიდან დახმარებაზე იყვნენ—ტფილისში 163 კაცი, ქუთაისში—24, ახალციხეში—3, ოზურგეთში—6, თელავში—4, ზორაპანში 2. სიღნაღში—1, ლეჩხუმში—2.

— **შეღავათი.** ამავე თვის განმავლობაში სანიტარულ ზეგრის და ბინის ქირის გადასახადისაგან განთავისუფლდა 79 კაცი. სამოქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლდა —10 ერთდროული დახმარება მიეცა—3.

— **სოციალური დახმარების განახლებისათვის** განყოფილება აწარმოებს საორგანიზაციო მუშაობას სოციალურ დახმარების განახლებისათვის,

წითელ ჯარში.

— **ლექციები წითელ არმიელთათვის.** წითელ არმიელთა კლუბში დაიწყო ლექციები ქართულ ენაზე წითელ არმიელთათვის. ლექციები იკითხება სამეცნიერო და პოლიტიკურ თემებზე. ლექციების შემდეგ იმართება კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები.

— **წარმოდგენა ჯარში ახალ გაწვეულებისათვის.** წითელ არმიელების ცენტ. კლუბთან არსებული დრამატიული წრე შეუდგა წარმოდგენების მზადებას ჯარში ახლად გაწვეულებისათვის. პირველად წარმოდგენილი იქნება საგიტაციო ხასიათის პიესა „სურათი სოფელში" ხუციშვილისა.

გამომცემლობა.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო პროფ. გეხტმანის წიგნი ქართულ ენაზე „საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი". გეოგრაფ.-ეკონომიური მიმოხილვა.

— **სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება".** ერთდროული სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება"-ს გამომცემლობა აარსებს პერიოდულ გამოცემას იმავე სახელწოდებით. კრებული შესდგება შემდეგ დარგებისაგან, რომელთაც ხელმძღვანელობენ შემდეგი პირები: 1. პროფ. შ. ნუცუბიძე—ფილოსოფია და საზოგადოებრივი მეცნიერებანი; 2. პროფ. დ. უზნაძე—ფსიქოლოგია და პედაგოგიკა; 3. პროფ. ან. რაზმაძე—მათემატიკო დარგები: 4. პროფ. პეტ. მელიქიშვილი—ქიმია, ფიზიკა, მინერალოგია და გეოლოგია; 5. პროფ. ივ. ბერიტაშვილი—ბიოლოგიური საგნები; 6. პროფ. გ. ახვლედიანი—ენათმეცნიერება; 7. პროფ. კ. კეკელიძე—მწერლობა; 8. დოცენტი გრ. ნათაძე—ისტორია; 9. პროფ. სიმონ გოგიტიძე—სამკურნალო მეცნიერება. კრებულს დართული ექნება სამეცნიერო ქრონიკა და სამეცნიერო ტერმინოლოგია. გამომცემლობას ხელმძღვანელობს ა. შილაკაძე. მორიგი ნომერი გამოვა მაისის დამლევს. მასალები მიიღება ტფ. 1 ტეხნიკუმის შენობაში, გუნიბის ქ. № 46, პროფ. გ. ახვლედიანის სახელზე.

— **„საბჭოთა სამართლის მაუწყებელი".** გამოვიდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის ჟურნალი „საბჭოთა სამართლის მაუწყებელი" № 1, ქართულ და რუსულ ენებზე, რომელშიდაც მოთავსებულია ოფიციალური ნაწილი და სპეციალური წერილები.

— **სახალხო სასურსათო კომისარიატის ბიულეტენი.** გამოვიდა ა.-კ. სახ. სასურსათო კომ. საქ. რწ. სამართ. „ბიულეტენის" მე-21 ნომერი, რომელშიდაც მოთავსებულია 1) მეთაური, 2) სასურსათო გადასახადის კამპანიის მიმოხილვა, 3) სასურსათო გადასახადის შედეგები საქართველოში 1921 და 1922 წ. წ. ა. ერქომაიშვილის, 4) მენშევიკური სახელმწიფო და კოოპერაცია ა. ერქომაიშვილის და სხ. ბიულეტენში აგრეთვე მოთავსებულია ოფიციალური განყოფილება.

სხვა და სხვა.

— **სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას 15 აპრილს დილის 11 საათზე სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე, ბარიატინის ქ. № 5-ში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტეხნიის კათედრის ასისტენტი **ლევან ლეონიძე** წაიკითხავს თავის ახალ გამოკვლევას **„ღორი და მეღორეობა საქართველოში".**

შემთხვევები.

— **მკვლელობა.** ვორონცოვის ქ. № 93 იპოვეს მკვდარი ქალი, რომელსაც ხელში „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი ჰქონდა. სახელი და გვარი ჯერჯერობით გამოურკვეველი არის.

— **გაქურდვა.** დავიდოვის ქ. № 5 ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაქურდეს ვასილ პეტრეს მესხოვის ბინა, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა ნივთეულობა, 800 მილიონ მანეთად ღირებული.

— პლეხანოვის ქ. № 2 ვიღაც ბოროტმოქმედებს გაუღიათ არშაკ გიორგის ძე არუთინოვის გალერეის კარები, საიდანაც წაუღიათ პალტოები.

— დიდი მთავრის ქ. № 67 ბოროტმოქმედებს გაუღიათ იოსებ ალექსანდრეს ძე შანოვის ბინა, საიდანაც წაუღიათ სხვა და სხვა საოჯახო ნივთები.

ხელოვნება

— **მომღერალთა გუნდების შედგენა პროვინციებში.** სახალხო ლოტბარმა ძუკუ ლოლუამ მთავრობის დავალებით სენაკში და ზუგდიდში მოაწყო სახალხო მომღერალთა გუნდები ადგილობრივი მუშებისა და გლეხებისაგან.

— **მუსიკალური სასწავლებელი სოხუმში.** ტფილისში ჩამოვიდა სოხუმის მოსახლეობის წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული აქვს იშუამდგომლოს განათლების კომისარიატის წინაშე სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

— **ლექცია ფრანგულ ენაზე.** დღეს აპრილის 13 ხელოვანთა სასახლეში (სერგეევის ქ. № 13) სახელ. უნივერ. ლექტორი ელ. ჯამბაკურ-ორბელიანისა წაიკითხავს ლექციას ფრანგულ ენაზე: ქართული ლეგენდები და ზღაპრები. დასაწყისი საღამოს რვა საათზე.

— **სახალხო თეატრის გახსნა.** შაბათს, 14 აპრილს, წითელ-არმიელთა კლუბში გაიხსნება სახალხო თეატრი განათ. კომ. არსებული სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობის სალიტერატურო სექციის ხელმძღვანელობით. თეატრის გახსნისას შესაფერ სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. მ. ორახელაშვილისა. წარმოდგენილი იქნება ქართულად „ჯადოსანი წყვილი" და რუსულად „სამში ჩვეულება".

— **ახალი სახალხო წიგნები.** განათლების კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობის სამხატვრო-სალიტერატურო სექცია ამ დღეებში გამოსცემს სახალხო წიგნებს: „გაზაფხულს" და „ზაფხულს". წიგნები დასურათებული იქნება.

— **სიმღერისა და გალობის მასწავლებელთა თათბირი.** 17 აპრილს მე-80 შრომის სკოლის შენობაში შესდგება სიმღერისა და გალობის ყველა მასწავლებელთა თათბირი. თათბირის მიზანია, სხვათა შორის ამოირჩიოს საგანგებო კომისია სოფლური სახალხო სიმღერების შესაგროვებლად.

— **სახალხო სახლი.** კვირას 15 აპრილს, ადგილობრივი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ამ სეზონში ნ. გურგენიძის მიერ გადმოკეთებული პიესა 3 მოქ. „ელეონორა" 2) დ. კლდიაშვილის კომედია „დარისპანის გასაჭირი" თამარა გოგოლაშვილის მონაწილეობით მთავარ როლებში. შ. დადიანის რეჟისორობით.

პროფკავშირებში

— **საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად** განათლების მუშაკთა ცენ. კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად 25 მილიონი მანეთი გადასდოს,

— **შუამდგომლობა ფრახტის დაკლების შესახებ.** საქ. პ. კ. ც. შუამდგომლობა აღძრა საქ. კომისართა წინაშე, რათა ქსანის ქარხნის ნაწარმოებთა გადაზიდვა რკინის გზებზე შეღავათიან ტარიფით ხდებოდეს.

— **კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დაჩქარება.** საქ. პ. კ. ს. სატარიფო ეკონომიურ განყოფილებამ წინადადება მისცა სახელმწიფო მოსამსახურეთა ცენტრ. კავშირს ერთ კვირის განმავლობაში დადვას კოლექტიური ხელშეკრულება მუშათა მთლიან კოოპერატივის გამგეობასთან. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციასა და კავშირის შორის შეთანხმება არ იქნა მიღწეული, სადაო საკითხების გარჩევა სამედიატორო სასამართლოს უნდა გადაეცეს.

— **კონკურსი „საუკეთესო მასწავლებლის" სახელწოდებისათვის.** რუსეთის განათლების მუშაკთა ცენტრ. კავშირის წინადადებით, საქ. განათ. მუშაკთა ცენტრ. კავშირი შეუდგა გაზეთ „პრავდის" მიერ გამოცხადებულ „საუკეთესო მასწავლებლის" სახელწოდების მოპოვებისათვის კამპანიას ჩატარებას.

პროვინციაში

ნიგვზიანის თემი (სად. ჯუმათი).

1 აპრილს ნიგვზიანს ესტუმრენ ბათუმის უბნის რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ინიციატორობით გამოგზავნილი ამავე კავშირის კულტურულ განყოფილების არტისტები და მრავალი სტუმრები ამხ. თოდრიას და ბარამიძის მეთაურობით

იმ საღამოს ხსენებულ პირთ უნდა გაემართათ წარმოდგენა ადგილობრივი პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის შენობაში. აფიშები სამი—ოთხი დღის წინათ იყო გაკრული, რომელშიაც აცხადებდნენ, რომ იქნებოდა დადგმული „მათიკო" და „ოთხი იმერელი". ხალხიც დიდ მზადებაში იყო და მოუთმენლათ მოელოდენ სტუმრათ ჩამოსულ „არტისტების" ნიგვზიანის სცენაზე გამოსვლას. დაესწრო დიდ-ძალი საზოგადოება, როგორც თვით ნიგვზიანიდან, ისე ჯურუყვეთის და ნინოშვილის თემებიდან, ლანჩხუთიდან, და სუფსიდან. დარბაზში ტევა არ იყო. ბევრი შრომა და ენერგია დახარჯეს ადგილობრივი რკ. გზის მოსამსახურებმა, დრამატიული წრის წევრებმა და კერძო მოქალაქეებმა და მართლაც ღირსეულათ შეხვდენ ჩამოსულ სტუმრებს, მაგრამ სამწუხაროთ იმედი არ გაუმართლდათ.

რამოდენიმე წინასწარ-სიტყვების შემდეგ, რომელიც წარმოთქმულ იქნა ამხ. თოდრიას და ბარამიძის მიერ საერთაშორისო მდგომარეობის, სარწმუნოების, სკოლის და თეატრის მნიშვნელობის შესახებ, სცენაზე გამოჩნდენ „არტისტები" კომედია „მათიკოს" წარმოსადგენათ, მაგრამ ისე უფერულათ და უშინაარსოთ ჩაატარეს, რომ ყურებაც—კი შეზარდებოდა მკითხველო. შემდეგ „ოთხი იმერლის" შესახებ სცენიდან განაცხადეს: „სამწუხაროთ წიგნი ვიღაცას ჯიბეში ჩარჩა და ის ამხანაგიც ბათომში დარჩაო და ამის გამო „ოთხი იმერლის" მაგიერ დადგმული იქნება „ტიტველი ქალიო". უკიდურეს შემთხვევაში საზოგადოება ამითაც დაკმაყოფილდა, მაგრამ ეს უკანასკნელი რომ არც გამოეცხადებიათ და არც დაედგათ, ბევრათ უმჯობესი იქნებოდა, რადგან არც „ტიტველი ქალი" არაფერს წარმოადგენდა გარდა სახელ-წოდებისა. მოსაწონარი იყო და ხალხიც მადლიერი დარჩა მხოლოთ სიმღერით, რომელიც შეასრულა ბათომიდან ჩამოსულმა ქალვაჟთა გუნდმა სათანადო ტანთ-საცმელში პატივცემულ გ. პიპაშვილის ლოტბარობით.

შემდეგ გაიმართა ამერიკული შეჯიბრება და რადგანაც საერთო შემოსავლის რაოდენობის პირველი ნახევარი იგზავნებოდა ბათომის რაიონის რკ. გზის მუშა მოსამსახურეთა კავშირის კულტურულ-განმან. განყოფილების სასარგებლოთ და მეორე ნახევარი რურის ოლქის მუშების სასარგებლოთ (თუმცა ესეც შესცვალეს და მეორე ნახევარიც წითელ ფლოტის ფონდის გასაძლიერებლად ოზურგეთში გადაგზავნეს შეგპირდენ) ბევრმა მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში, რამაც გამოიწვია მოჯიბრეთა ორ ჯგუფათ გაყოფა. ბოლოს გამოცხადებული იყო ცეკვა. შემოსავალი 39.000 000 მანეთამდე იყო, ხარჯი 10 000 000 მილ., წმინდა მოგება 29 000 000 მან. და ხალხი საშინელათ გულნატკენი და უსიამოვნოთ დაიშალა შემდეგი სიტყვებით: „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო" თორემ ჩვენი ადგილობრივი სცენის მოყვარენი უფრო კარგად თამაშობენ სცენაზე, ვიდრე ქალაქის „არტისტებიო".

ჩვენ არ გვსურს მაინცდამაინც ვი-

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომ. პარტ. ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს და კანდიდატებს

საქართველოს კომ. პარ. ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს პარტდისციპლინის წესით გამოცხადდენ სათანადო რაიკომებში საალფავიტო ბარათების შესავსებათ (ფორმა № 2—შევსებული).

ეს რეგისტრაცია სავალდებულოა ყველასათვის გამოუკლებლივ. მიუხედავათ წინანდელისა და საჭიროა ტფილისის ორგანიზაციის საბოლოო აღრიცხვისა და სტატისტიკისათვის.

ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს სამი დღის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა, ყველა ისინი მოიხსნებიან ტფილისის ორგანიზაციის აღრიცხვიდან და საქმე მათი გადაეცემა ც. კომიტეტს პასუხისგებაში მისაცემათ პარტიულ ვალდებულებათა არ შესრულებისათვის.

ტფილისის კომ. მდივნის მაგიერ **ივანოვი.**
საალრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილების გამგის მაგიერ **ფულფუგიჩი.**

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს სახ. უნივერსიტეტის სტუდენტს, ანდრია რომანის ძე **ღვამიჩავას,** სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგესთან.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.
(12 აპრილს)

ოქროს 10 მან.	9.875
გირვანქა სტერ.	5.500
დოლარი	1.225
ლირა	960
საბჭ. ფულის ნიშნ.	15,5

ძვირფასი ლითონების კურსი.
(12 აპრილს)

ოქრო 96 სასინჯი 3 მ. და 40 კაპ. ოქრო 56 სასინჯი—1 მ. და 70 კაპ. ვერცხლი 84 სასინჯი—6,75 კაპ. მანეთის ხურდა ვერცხლით—16,5 კაპ.

მუშათა მთლიანი კოოპერატივის ფასები.

თეთრი პური—20, შავი—10, საპონი მარმარილოს—100, საპონი „ტოლლე"—100, ყუბანის ფქვილი—35, ლობიო—12, წუმწუმა—10—15, შაქრის ფხვნილი—130.

საქონლის ბაზრის განწყობილება.
12 აპრილს.

საერთო განწყობილება გამოურკვეველია. შაქრის ბაზარზე მტკიცეა. მანუფაქტურის ბაზარზე ჩვეულებრივი სიწყნარე—ფასები მტკიცეა. დანარჩენი ბაზარზე უცვლელია.

სავალუტო ბაზრის განწყობილება.
12 აპრილს.

დილიდანვე ემჩნევა კურსის აწევის ტენდენცია, რაც არის დროებითი მოვლენა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

თამბაქო სოხუმის ფოთლოვანი, ცემენტი, სპირტი ამერიკული, შაბიამანი, სკიპიდარი, ხორბალი ადგილობრივი, ნაწლავები, ყველი შვეიცარული, სარდინა, რეზინის ნაწარმოები, მატყლი, ბამბა, მინა, წუმწუმა რუსული, შაქრის ფხვნილი, ფქვილი ყუბანის, ფქვილი „ნელსონის" და „[illegible]", ბურღული, ერთი ვაგონი, ცხიმი ტექნიკური.

ბირჟის მოთხოვნილება.

შაბიამანი, ყურძნის ფქვილი, ხორბალი ყუბანის, ქერი თეთრი, თამბაქო ფოთლოვანი, შაქრის ფხვნილი, შაქარი რაფინადი, სოდა კაუსტიკური, საპნის სურროგატი, სააღმშენებლო მასალები, მანუფაქტურა რუსული, მატყლი თუშური, წუმწუმა რუსული.

ვალუტის კურსი ბათუმში.
12 აპრილს
(ცნობა ტელეფონით დღის 1 საათზე და 10 წუთზე).

ოქროს 10 მან.	9,950,
გირვანქა სტერლინგი	6,065,
დოლარი	1285,
ლირა	810.
საბჭოთა ფულის ნიშნები	15,

განწყობილება შეიცვალა. ვალუტის კურსი ეცემა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობამ ალიარა აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში მატყლის დამზადება სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მთავარ ოპერაციათ.

დამზადება მოხდება შემდეგ რაიონებში: კახეთში, სომხეთში, ბორჩალოს და ტფილისის რაიონებში, განჯაში და დუშეთში. კახეთში დამზადებული იქნება თუშური მატყლი, სომხეთში—მაკინის და ოსმალეთის. ალექსანდროპოლში ოსმალური მატყლის დასამზადებლად გახსნილი იქნება სააგენტო ერთი რწმუნებულის სახით. ყველა ამ ოპერაციებისათვის არ იქნება შექმნილი განსაკუთრებული აპარატი, დამზადება მოხდება სანდო და გამოცდილ კონტრაგენტების საშუალებით.

საფინანსო-საქონლის ბირჟის მუშაობა
(დღიდან დაარსებისა—6 აპრილამდე).

საფინანსო-საქონლის ბირჟა იმ სახით, რომელიცაც ის ამ ჟამათ არსებობს, გახსნილი იყო ა/წ. 22 თებერვალს. პირველ დღეებშივე ბირჟის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ფართე სავაჭრო წრეებმა, როგორც სახელმწიფო-სამეურნეო, ისე კერძო სფეროებიდან.

ბირჟის დასწრების სიხშირე. შემდეგ ციფრებში გამოიხატება: ბირჟის წევრების დასწრება—838, გარეშე პირთა—1429 საერთოთ, დასწრების რიცხვი—2267.

დადებული ხელშეკრულებათა საერთო რაოდენობა 897, რომელთა შორის საფონდო—798, საერთო თანხაზე—591.746.75 მანეთზე ოქროთი, რაიც მანეთებზე გადატანით შეადგენს 558.899.127 ათასი მანეთს. სასაქონლო ხელშეკრულებათა რიცხვი—44 საერთო თანხაზე—132762,5 მანეთზე ოქროთი (78.778.284 ათასი მანეთი ბონით). სულ დადებულია ხელშეკრულებები საერთო თანხაზე—727.479,25 მანეთზე ოქროთი.

მყიდველებს წარმოადგენდნენ უმთავრესად კერძო პირები. მათი რიცხვი ამ ხნის განმავლობაში—705. მეორე ადგილი მყიდველთა შორის უკავია სახელმწიფო ორგანოებს—160, შემდეგ კოოპერატივებს—28 და საზოგადო დაწესებულებებს 9.

გამყიდველთა როლში გამოდიოდნენ უმთავრესათ სახელმწიფო ორგანოები—468, შემდეგ კერძო პირები—330, საზოგადო დაწესებულებები—86 და კოოპერატივები—28.

ყველა ეს ხელშეკრულებები ოქროს ფულზე შემდეგი ციფრებით სურათდებიან: **ნაყიდია საქონელი** სახელმწიფო ორგანოების მიერ—41.692,5 მანეთის ღირებულებისა, კოოპერატივების მიერ—28.145 მან. კერძო პირების მიერ —62.901 მან.

გაყიდულია საქონელი (ოქროს ფულზე) სახელმწიფო ორგანოების მიერ 109.439,5 მანეთის ღირებულებისა, კოოპერატივების მიერ—14115 მან., საზოგადო ორგანიზაციების მიერ—325 მან. და კერძო პირების მიერ—8850 მან.

სავალუტო ხელშეკრულებები აღრიცხულია შემდეგი სახით:

ნაყიდია ვალიუტა (ოქროზე) სახელმწიფო ორგანოების მიერ—240 275,5 მანეთის ღირებულებისა, კოოპერატივების მიერ—7870 მან., საზოგადო ორგანიზაციების მიერ—10665 მან. და კერძო პირების მიერ —335,936 25 მან.

გაყიდულია ვალიუტა (ოქროზე) სახელმწიფო ორგანოების მიერ—286.336,25 მანეთის ღირებულებისა, კოოპერატივების მიერ—13942 მან., საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ—144601 მან. და კერძო პირების მიერ—149.866 მანეთის.

მუშათა ცხოვრება

თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატი“.

მიმდინარე წლის 2 აპრილს აღნიშნულ ქარხანაში შესდგა საერთო კრება ადგილობრივი მუშებისა, სადაც გაირჩა საკითხი—სამღვდელოების და სარწმუნოების შესახებ.

მომხსენებლად გამოვიდა გ. ვრდოიანი. ამხ. ვრდოიანმა მოხსენება დაიწყო დარვინიზმიდან და მოკლედ აუხსნა მან მუშებს ის, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანი.

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვრდოიანისა ღმერთების და სარწმუნოების შესახებ, საერთო კრება ადგენს, რომ მან მკაცრი ბრძოლა გამოუცხადოს იმ ღმერთებს და მის მცველებს, რომელნიც თვით მეფის და სამღვდელოების სიმაგრეს შეადგენდნენ და რომლის საშუალებითაც მშრომელთა მასაში შეჰქონდათ უფრო მეტი სიბნელე და უვიცობა რის გამო ისინი (მშრომელთა მასები) მძიმე მონობის უღელ ქვეშ იმყოფებოდნენ მრავალ საუკუნოების განმავლობაში... ვუცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას იმ ახალ მოძღვრებას, რომელიც ჰბადებს ქვეყანაზე ახალ ცხოვრებას, ბედნიერებას, ხელოვნებას, ტეხნიკას და საერთოდ მთელი ქვეყნის პროლეტარიატთა შვებას და მოსვენებულ ცხოვრებას.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა რევოლიუციას.

გაუმარჯოს მათ ხელმძღვანელებს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას!

კორ. ინფ. მუშა, ალ. ბ—შვილი.

თვალით ავადმყოფებს ვინ უწევს ნამდვილ დახმარებას?

ერთი დიდი თვალსაჩინო დაწესებულება, რომელიც არსებობს ქ. ტფილისში და რომელიც თავის საქმიანობით, ამოცანებით და მიზნით იწვევს მცხოვრებთა დიდს ინტერესს, არის „ს. ს. ს. რესპუბლიკის თვალის ცენტრალური საავადმყოფო—სახელმწიფო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კლინიკა“, აღნიშნულ დაწესებულებას დასახული აქვს მიზნად გაუწიოს ყოველგვარი დახმარება თვალით ავათმყოფებს.

ამ საავადმყოფოს განკარგულებაში არის შტატი გამოცდილ და დახელოვნებულ მოსამსახურეებისა.

საავადმყოფო იტევს 30—35 ავადმყოფის საწოლს.

აღნიშნულ საავადმყოფოში, ექიმი მუსხელაშვილის (უფროსი ექიმი და გამგე საავადმყოფოსი) ხელმძღვანელობით, აეხილა და მისცა სინათლე მრავალს ორივე თვალით დაბრმავებულებს, მუშა-მოსამსახურეს რომლებიც სხვების დაუხმარებლად არამც თუ შრომას, არამედ გავლა-გამოვლასაც ვერ ახერხებდნენ და აწვენ თავიანთ ოჯახს მძიმე ტვირთად.

არ იქნება მეტი, რომ აქ ჩვენ ცნობისათვის მოვიყვანოთ სახელობითი სია ზოგიერთ იმ თვალით ავადმყოფთა, რომლებმაც მიიღეს წამლობა ზემოხსენებული საავადმყოფოში:

1. ვერველიძე სოფია—ტფილისის მცხ. 58 წლ. სჭირდა ორივე თვალის უსინათლობა. ოპერაციის შემდეგ მიღებული მარჯვენა თვალის სინათლით შეუძლია მუშაობა;
2. გაბედოვა ელიზავეტა—ტფილისის მცხ. 72 წლ.—ორივე თვალის უსინათლობა. ოპერაციის შემდეგ აეხილა ორივე თვალები. მუშაობს.
3. ეგაზარიანცი ამეიავი ყარსის მცხ. 30 წლ.—ორივე თვალის უსინათლობა; ოპერაციის შემდეგ მარცხენა თვალზე მიღებული სინათლით—მუშაობს;
4. აკოპიანი შუშანიკა ახალ-ქალაქის მცხოვრები 46 წ.—ორივე თვალის უსინათლობა. ოპერაციის შემდეგ აეხილა მარჯვენა თვალი. მუშაობს. და მრავრი სხვები.

დასასრულ ჩემი წერილისა საჭიროდ მიმაჩნია მკითხველებს გაუზიარო მოკლედ ჩემი შთაბეჭდილება.

დიდი მადლობის ღირსია ექიმი ვ. მუსხელაშვილი, როგორც გამოცდილი ექიმი.

გარდა ამისა ზოგიერთ დაწესებულებებში ხშირად შევხვდებით, რომ დაწესებულების გამგე, უფროსი მოდის არა დანიშნულ საათზე, არამედ ერთი ორი და ხშირად სამი საათის დაგვიანებით, რაც აიხსნება გამგის საქმისადმი გულგრილობით. ამხ. მუსხელაშვილი კი ყოველთვის თავის დროზე საავადმყოფოში იმყოფება. რაც აიხსნება მისი საქმის მოყვარეობით და ერთგულებით. ყოველ დილას ამხ. მუსხელაშვილი ჩამოიარს ყველა პალატებს და მიდის ყველა მძიმე ავადმყოფებთან, საუბრობს მათთან ტკბილად, აძლევს დარიგებებს და ნუგეშს, რაც ექიმის დიდებითი მხარედ უნდა ჩაითვალოს.

ამხ. მუსხელაშვილი სარგებლობს მუშა-მოსამსახურეთა საკმაო სიმპატიით. მისი ავტორიტეტი მოსამსახურეებში დიდია.

მოიტანა თავისი სახლიდან ორი საოპერაციო დანა ამ სიტყვებით: „უძღვნი ჩვენი ღარიბი რესპუბლიკის თვალის საავადმყოფო“-ს. ასეთი საჩუქრები ბევრი აქვს მიღებული ჩვენს საავადმყოფოს მისგანვე.

მ. ხალომეშვილი.

დაუშვებელი მოვლენა

(საბინაო განყოფილების საყურადღებოდ)

ლისაგორის შესახვევში № 18 მოთავსებულია სახლი მოქ. ალექსანდრე ლაბაძის, სადაც ცხოვრობენ მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურენი, უმეტესად კი დაბალ თანამდებობისა.

აღნიშნულ სახლს არავითარი მოწყობილობა არა აქვს. პატრონი მას აგერ ორი წელიწადია, რაც ყურადღებას არ აქცევს. სახლის კედლები ყველგან დახეთქილი და გაფუჭებულია. ეზოში და სახლის გარშემო აყარებული ნაგავი და სიბინძურე ყრია. აივნების და ბალკონების ბაქნები ყველგან გაფუჭებული და დამპალია. სახურავიდან წვიმა ჩამოდის ვიმყოფებით აგრეთვე დიდ გაჭირვებაში ფეხსალაგის უვარგისობისა გამო მოქ. ლაბაძე ღებულობს ჩვენგან ქირებს და სახლს კი ყურადღებას არ აქცევს, სრულებით არ უვლის მას, რის გამო მოსალოდნელია სახლის წაქცევა. ლაბაძე ლანძღავს მდგმურებს უხეში სიტყვებით. ამიტომ ჩვენ აღნიშნულ სახლის მდგმურები მუშა-მოსამსახურენი ვთხოვთ, ვისგანაც ჯერ არს სახლის მდგომარეობის გამოსარკვევად დანიშნულ იქნას სპეციალური ტეხნიკური კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს სახლის უპატრონობა და მიიღოს ზომები მისი ქალაქისთვის გადასაცემად.

გარდა ამისა აგერ 3 წელიწადია, რაც სახლს მცხოვრებთა წიგნი არა აქვს. მუდამ მოდიან აქ და მიდიან ვილაც უცხო პირები. მათზე ლაბაძე ცნობას არავის არ აძლევს. დროა აილაგმონ გაუსწორებელი სახლის პატრონები.

კორ.-ინფ. გაგიევი.

მუშათა ქრონიკა

შრომის ინსპექტორების აღმოჩენა.

— **რესტორან „ფორტუნა“.** რევიზიის დროს მე-3 რაიონის შრომის ინსპექტორმა, სუხორუკოვმა, აღმოაჩინა, **რომ რესტორნის პატრონი სამსონ ბურჭულაძე** ამუშავებდა 3 მუშას: ბუფეტჩიკს—იულა ქანიშვილს, მსახურ ქალს—ეკატერინე ჩერკასოვს და მზარეულს—ივანე კობერიძეს დილის 9 საათ. საღამოს 10 საათამდე. ყოველ დღე შეუსვენებლად, უქმე დღეებშიაც.

ყველა ზემოხსენებული მუშები მიღებულ არიან შრომის ბირჟის გარეშე, არ არიან დაზღვეულნი და არც საანგარიშო წიგნაკები აქვთ.

აღნიშნულ მიზეზების გამო შრომის ინსპექტორმა შეაყენა ოქმი მოქ. ბურჭულაძეზე სახალხო სასამართლოსთვის გადასაცემად.

— შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის ამავე რაიონის ინსპექტორმა ოქმი შეუყენა ღვინის სარდაფის პატრონს **გიორგი ჭეტრიაშვილს** (თბილისის ბაზარზე მცხ.), რომელიც ამუშავებდა 11 წლის მოზარდს პეტრე სარომელაშვილს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ჯამაგირს კი მას არ აძლევდა; ბავშვს არ ჰქონია არც საანგარიშო წიგნაკი და ის არც დაზღვეული ყოფილა.

— ამავე რაიონის ინსპექტორის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ფეხსაცმლის სამკერვალოს (რუსის ქ. № 2) პატრონი მიხეილ ჩალაბოვი ამუშავებდა 17 წლის ახალგაზრდას გარეგინ არუტიუნოვს 12 საათს ყოველდღიურად, ყმაწვილს არა ჰქონებია საანგარიშო წიგნაკი და არც დაზღვეული ყოფილა. აღნიშნულ შრომის ექსპლოატატორზეც შეყენებულია სათანადო ოქმი პასუხისგებაში მისაცემად.

ნმ „გავაკრიტიკოთ“, მაგრამ გულწრფელად კი გვინდა ვსთქვათ ამხ. თოდრიას და ბარამიძის საყურადღებოდ, რომ პროვინცია უფრო მეტს თხოულობს გონებრივ საზრდოს, ვიდრე თქვენ 1 აპრილს მიაწოდეთ.

ნიგვზიანის თემის სცენის მოყვარეთა დრამატიული წრე.

უპარტიოთა განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ გაზეთ „კომუნისტში“ ამ განცხადებას.

სოფელ გორა-ბერეჟოულის უპარტიოთა კრებამ, რომელიც მოხდა 3 აპრილს 1923 წელს განიხილა რა საკითხი პოლიტიკური მომენტის შესახებ დაადგინა: ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას ვინაიდგან ის არის მუშათა კლასის ერთად ერთი ინტერესების დამცველი. ხელს ვაწერთ:

1. გაბრიელ ბასილია, 2. ლევანტი კაკურია, 3. კირილე ანტონისძე კაკურია, 4. ივანე ბერიძე, 5. ელიზბარ კოტრიკაძე, 6. გრიგოლ მდევიძე, 7. ნოე ტყეშელიაძე, 8. ნიკიფორე კოტრიკაძე, 9. აქსენტი დოლიძე, 10. ვარლამ ცენტერაძე, 11. ივანე მეფარიშვილი, 12. გიორგი თავართქილაძე, 13. ლუკა პაიშვილი, 14. ანდრე ტყეშელიაძე, 15. პლატონ კაკაძე, 16. ახალ ცენტერაძე, 17. შოთა ტყეშელიაძე, 18. სიმონ წიტაიშვილი, 19. მელქის კობიძე, 20. გრიშა ბერეჟიანი, 21. სოლომონ ცენტერაძე, 22. პავლე ტყეშელიაძე, 23. მელიტონ კოტრიკაძე, 24. გიორგი გიგოლისძე მეფარიშვილი, 25. გიორგი ლევანისძე ბერიძე, 26. კირილე ექვთიმესძე კაკურია, 27. ფილიპე კაკურია, 28. პავლე მდევიძე, 29. ივანე ხაბეიშვილი, 30. ისიდორე მეფარიშვილი, 31. ანდრო მდევიძე, 32. სილვესტრი ბერიძე, 33. გიორგი კობიძე, 34. კოსტა კაკურია, 35. გიორგი ლუკასძე მეფარიშვილი, 36. ივანე წულაია, 37. ოქროპირ მდევიძე, 38. ვარდენ ცენტერაძე, 39. ეროფე სირაძე, 40. ივანე ჭერქაძე, 41. ნესტორ ჭერქაძე, 42. კოწია კაპარავა.

წერილი რედაქციის მიმართ

ქალ. საავადმყოფოების დათვალიერების გამო.

თბილისის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა ამა წლის 9 აპრილს, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების გამგესთან ერთად, დაათვალიერა ქალაქის საავადმყოფოები №№ 1 და 2, და [illegible] შემდეგ დასკვნამდე:

1. საავადმყოფოებში დაცულია სრული სისუფთავე.
2. საავადმყოფოებში მომუშავე პერსონალი სდგას სათანადო სიმაღლეზე, რაიც გამოიხატება საქმისადმი [illegible] და სამსახურისადმი ერთგულებაში.
3. საავადმყოფოების ერთად ერთ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს საწოლის და საცვალ-თეთრეულობის მცირე რაოდენობა.
4. გარდა ამისა, აქვე, საავადმყოფოს გამგესთან მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა შემდეგი: ხარჯ-გაუწევლად, ბარაკების გადაკეთებით ყოფ. არამიანცის საავადმყოფოში შეიძლება გაიხსნას განყოფილება ფილტვების სნეულობით შეპყრობილთათვის (ტუბერკულიოზი).

ამის გამო, აღმასკომის პრეზიდიუმი აცხადებს შემდეგს:

1. მის მიერ მიღებულ იქნება ყოველივე ზომები საავადმყოფოების თეთრეულის ფონდის შესავსებლად, ავადმყოფთა საცვალ და საწოლის თეთრეულით სრულ უზრუნველყოფით.
2. ტუბერკულოზთან ბრძოლის და ასეთ ავადმყოფების დანარჩენ მცხოვრებლებიდან იზოლიაციის მიზნით, პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გახსნას განყოფილება ფილტვების სნეულებით შეპყრობილ ავადმყოფთათვის ყოფ. არამიანცის საავადმყოფოსთან... ეს გადაწყვეტილება მოყვანილ იქნება სისრულეში ამ დღეებში.
3. აღნიშნულ საავადმყოფოების მედპერსონალს და მოსამსახურეებს პრეზიდიუმი უძღვნის დიდ მადლობას მათი თავდადებულ მუშაობისათვის და მათდამი დაკისრებულ მძიმე მოვალეობის შეგნებულ ასრულებისათვის, როგორიც არის ხალხის ჯანმრთელობის დაცვა - ამასთანავე პრეზიდიუმს სწამს, რომ მედპერსონალი და მოსამსახურეები მომავალშიაც გამოიჩენენ ასეთსავე მზრუნველობას ავადმყოფებისადმი, საქმის სიყვარულს და შეგნებულ ასრულებას თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობებისას.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

საქმეთა მმართველი, პრეზიდიუმის წევრი **მეხხი.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ქალაქებში მიწათმოწყობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ მიწის შესახებ 1921 წლ. აპრილის 6-ს თარიღითა და 17 №-ით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად, რომელი დეკრეტის ძალითაც გაუქმებულია კერძო საკუთრების უფლება მიწაზე, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ზემოხსენებული დეკრეტის მე-8 და მე-18 მუხლის საფუძველზე ადგენს:

1. ამა დებულების გამოცემისთანავე ყოველი მიწა, რომელიც მდებარეობს მოქმედი საქალაქო მიჯნის შიგნით, ჩაითვლება საქალაქო მიწად. გარდა ამისა, ქალაქების სარგებლობაში მტკიცდება ქვემოთ აღნიშნული სოფლად მდებარე მიწები. ქალაქის ტერიტორიის გაფართოება ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებით სასოფლო მიწებზე სწარმოებს ამა დებულების მე-3-ე მუხლში აღნიშნულ საფუძველზე.

2. საქალაქო მიჯნად ჩაითვლება გარეთი საზღვარი როგორც შენობიანი ისე უშენობო მიწებისა, რომელიც ამა დებულების გამოქვეყნების დღისათვის იქნება ქალაქის საბჭოს გამგებლობაში და აგრეთვე ქალაქის საზღვარზე მიკრული ყოფილი საქალაქო მიწები, უკეთუ იგი არ არის გლეხთა მოსახლეობის ან მუშათა ორგანიზაციების ფაქტიურ სარგებლობაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: განსაზღვრა მოქმედი საქალაქო მიჯნისა ადგილზე ან პლანზე, მთელი მისი სიგრძით ან ნაწილობრივ შესრულებულ უნდა იქნეს, უკეთუ საჭირო იქნება, მიწათმოქმედების წარმოების საერთო წესისამებრ, როგორც საქალაქო საბჭოს, ისე ქალაქის მიდამოების მცხოვრებთა განცხადებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: მუშაობა ამ მუხლში აღნიშნული საქალაქო მიჯნის განსაზღვრისათვის უნდა სწარმოებდეს პირველ რიგობრივ.

3. უკეთუ ქალაქის გაფართოებისათვის აუცილებელი იქნება არსებული საქალაქო მიჯნის შეცვლა და ახალის დამყარება, საკითხი ამის შესახებ უნდა აღძრას ქალაქის საბჭომ ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ახალი საქალაქო მიჯნის დამყარების საქმე სწარმოებს მიწათმოწყობის საერთო წესისამებრ. უკეთუ შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნება, საქმე საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაეცემა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს. ახალი საქალაქო მიჯნის დამტკიცებული პროექტი სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი საადგილ-მამულო ორგანოების მიერ.

4. ყოველი მიწა მდებარე მომქმედი საქალაქო მიჯნის გარეთ, ვის სარგებლობაშიაც უნდა იყოს იგი, შედის სოფლის ტერიტორიაში, არის საადგილ-მამულო ორგანოების საერთო გამგებლობაში და ემორჩილება სათანადო კანონებს მიწ.ის შესახებ. ამასთანავე მიწა, რომელიც ფაქტიურად გამოუყენებელია ქალაქის კომუნალურ საწარმოებთაგან (წყალსადენი, მორწყვის მინდვრები, საბჭოთა მეურნეობანი და სხვ.) მტკიცდება ამ საწარმოთა სარგებლობაში.

5. საქალაქო მიჯნის გარეთ მდებარე მიწები იმ დაწესებულებათა და საწარმოთა სარგებლობაში კონებული, რომელნიც არ შედიან კომუნალურ სამმართველოს გამგებლობაში, უკეთუ ეს მიწები მათ კანონიერათ გადაეცათ, [illegible] დაწესებულებათა და საწარმოთა სარგებლობაში.

6. რათა თავიდან აცილებულ იქნეს უწესრიგოთ აღნაგობა იმ მიწებზე, რომელიც მომავალში შეიძლება შევიდეს ქალაქის მიჯნაში, ქალაქის საბჭოს უფლება ეძლევა, მიუხედავათ ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებისა შეადგინოს გეგმა და წესი საქალაქო მიჯნის გარეთ მდებარე მიწებზე აღნაგობისათვის.

დღიდან ამა გეგმისა და წესის დამტკიცებისა, არსებული წესისამებრ და მცხოვრებთათვის მათი განცხადებისა, აკრძალულია ახალ შენობათა აგება, რასაც შეუძლია დაარღვიოს აღნიშნული გეგმა და წესი,—გარდა დროებითი და მსუბუქი შენობებისა—და აგრეთვე გაფართოვება არსებულ შენობათა. აგებულ ან გაფართოებული შენობა დაშლილ უნდა იქნეს იმ პირის ხარჯით, ვინც აწარმოებდა ამ საალნაგო მუშაობას, უკეთუ აუცილებელი იქნება, რომ აღნიშნული მიწები გადაეცეს ქალაქს ზემოხსენებული გეგმისამებრ.

7. უკეთუ ქალაქის მიჯნაზე მიკრულ მიწებზე დაიწყება აღნაგობა ან ამ მიწებს დაიჭერს კომუნალური დაწესებულება ან საწარმოო,—ქალაქის მიჯნაჭგადაწეულ უნდა იქნეს მიწათ-მოწყობის წარმოების საერთო წესისამებრ, რათა აღნიშნული მიწები მოექცეს ქალაქის მიჯნაში. ამა კანონში აღნიშნულ შემთხვევებისათვის მიწათ-მოწყობის წარმოების საქმეში მოწვეულ უნდა იქნენ როგორც მხარენი: ქალაქის საბჭოსი და თემის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი, ყველა დაინტერესებული დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმოო, საადგილ-მამულო საზოგადოება და ცალკე მ წის მოსარგებლენი.

8. ზემოაღნიშნული წესები გავრცელებულ უნდა იქნეს აგრეთვე იმ დასახლებულ ადგილზე, რომელიც არსებული წესისამებრ ცნობილ იქნება ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილად.

9. მიწის ნორმების დაწესებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ყველა ქალაქები განიყოფება სამ კატეგორიად: პირველ კატეგორიას მიეკუთვნება: ტფილისი, ქუთაისი და ფოთი; მეორეს: გორი, სიღნაღი, თელავი, ახალ-სენაკი, ახალციხე, ჭიათურა და ოზურგეთი და მესამეს: ყველა დანარჩენი ქალაქები.

თვითეული კატეგორიის ქალაქები თავის მხრით იყოფა ზოლებად.

10. პირველი კატეგორიის ქალაქები იყოფა სამ ზოლად: შიდა უბანი, შუა უბანი და გარეთ უბანი.

ყველას, ვინც ფლობს მიწას, როგორც შენობიანს, ისე უშენობოს დაეტოვება ნორმა:

ტფილისისა და ბათომის შიდა უბანში გარდა იმ მიწებისა, რომელზედაც აგებულია შენობა, დაეტოვება მიწის ნაკვეთი არა უმეტეს 200 ოთხკუთხი საჟენისა, ხოლო ქუთაისისა და ფოთში არა უმეტეს 800 ოთხკუთხი საჟენისა:

ტფილისისა და ბათომის შუა უბანში დაეტოვება არა უმეტეს 400 ოთხკ. საჟენისა, ხოლო ქუთაისისა და ფოთში არა უმეტეს 600 ოთხკ. საჟ.

პირველი კატეგორიის ყველა ქალაქის გარეთ უბანში დაეტოვება ერთი დესიატინიდან ერთნახევარ დესიატინამდე იმის მიხედვით, თუ რა მანძილზეა დაშორებული მიწის ნაკვეთი ცენტრიდან.

11. მეორე კატეგორიის ქალაქები განიყოფება ორ ზოლად: შიდა უბანი და გარეთ უბანი.

მეორე კატეგორიის ქალაქთა შიდა უბანში მიწის მფლობელს დაეტოვება ნორმად არა უმეტეს 600 ოთხკუთხ საჟენისა, ხოლო გარეთ უბანში არა უმეტეს ორი დესიატ.

12. მესამე კატეგორიის ქალაქებიც განიყოფება აგრეთვე ორ ზოლად: შიდა უბანი და გარეთ უბანი.

მესამე კატეგორიის ყველა ქალაქის შიდა უბანში მესაკუთრეს დაეტოვება ნორმად არა უმეტეს 900 ოთხკ. საჟ., ხოლო გარეთ უბანში დაეტოვება ის ნორმა, რაც მეზობელ სოფლებისათვის დაწესებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის მაისის 26-ს დებულებით მიწათ-მოწყობის შესახებ.

13. ქალაქის გარეთ უბანში მიწის მესაკუთრე—მიწათმოქმედ ოჯახს, რომლის არსებობის ერთად ერთ წყაროს შეადგენს სოფლის მეურნეობა, უფლება აქვს დაეტოვოს მიწის ნაკვეთი იმ ნორმით, რაც დაწესებულია 1922 წლის მაისის 26-ს დებულებით.

14. ქალაქების დაყოფას ზოლებად აწარმოებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

15. იმ მიწების გარდა, რაც დატოვებულია ნორმად, ყველა დანარჩენი ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწა გადადის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში და შეადგენს ქალაქის საადგილმამულო ფონდს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თვითეული ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი შეიმუშავებს საადგილ-მამულო ფონდის სარგებლობის სათანადო წესს, რომელსაც დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი.

16. მიწის სარგებლობის უფლება მოისპობა:

ა) სასამართლოს განაჩენით კანონში განსაზღვრული დანაშაულისათვის (კონფისკაცია).

ბ) მფლობელთა გადაშენებით:

გ) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საჭიროებისათვის (გზისა და არხის გაყვანა, სახელმწიფო და სამრეწველო დაწესებულებათა საჭიროებანი და სხ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: საკითხი მიწის ჩამორთმევის შესახებ სახელმწიფო საჭიროებისათვის აღძრულ უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: უკეთუ ჩამორთმევა შეეხება კერძო მოსარგებლის ნორმას, მიწის პატრონს ზარალი უნდა აენაზღაუროს და შეძლებისადაგვარად უნდა მიეცეს სხვა მიწა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3: ზარალის ანაზღაურების წესს შეიმუშავებს ინსტრუქციის სახით შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი მიწათმოქმედებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

17 მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, დაგირავება, გაცვლა) აკრძალულია.

დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ, დეკემბრის 30 თარიღით და 27 ნოემბრის დადგენილებისა.

18. უკეთუ მესაკუთრე გაასხვისებს თავის შენობას, მით მიწის ნორმა გადაეცემა ახალ მფლობელს იმავე უფლებით, რაც ჰქონდა შენობის გამასხვისებელ პირს.

19. უშენობო მიწის იჯარით გაცემა. შეიძლება: 1) სტიქიური უბედურების გამო (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხ.) 2) მუშა-ხელის რიცხვის შემცირების გამო (მობილიზაციის დროს და სხვ.) და 3 ქვრივობლებისა და მოხუცებულთათვის.

20. გავრცელებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მიერ მიწათმოწყობის შესახებ 922 წ. მაისის 26-ს თარიღ. გამოცემული დებულების მე-11 და მე-13 მუხ. ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწებზე.

21. მიწის რეფორმის განხორციელება ქალაქად დაეკისრება ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს.

22. მიწადმოქმედებისა და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატებს უფლება ეძლევათ ურთიერთთან შეთანხმებით გამოსცენ ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა კანონის შეფარდებისათვის.

23. ძირითადი დებულებანი ქალაქებში მიწათმოქმედების დებულების იმ ნაწილისა, რაც შეეხება მიწათმოწყობისა და მიწების განაწილებას, გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის შეპირებულ რესპუბლიკაზე, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

24. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 12

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 14.

ამიერ-კავ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამართველოსი.

12 აპრილი, 1923 წ.

ომამდე არსებულ საქონლის ფასის გამომხატველ მანეთის კურსი, კოლექტიური ხელშეკრულებებით და სატარიფო შეთანხმებით ანგარიშის გასასწორებლად მთელი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიისათვის აპრილის თვეში უდრის შვიდას ორმოცი ათას (740.000) მანეთს.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.

საერთო-საორგან. გან. გამგე ქურდოვანიძე.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი აცხადებს,

რომ ამიერ-კავკას. ს. ფ. ს. რ. ყველა [illegible] დაწესებულებებში **გახსნილია**

ფულების გადაგზავნა

როგორც ფოსტით, ისე ტელეგრაფით **ამიერ-კავკასიის და რ. ს. ფ. ს. რ-ის ყველა ადგილებში.**

გადაგზავნები მიიღება ამიერ-კავკასიის ნიშნებით, რ. ს. ფ. ს. რ-ის დაწესებულებებში კი ისინი გადახდილი იქნება რუსეთის ფულის ნიშნებით გადაგზავნის მიცემის დღის კურსის მიხედვით.

გადაგზავნისათვის ფოსტით გადახდილ უნდა იქნას გადასაგზავნი თანხის 1 პროცენტი; ტელეგრაფით—გადასაგზავნი თანხის 1 პროცენტი და 25 სიტყვიანი დეპეშის ფასი. ფოსტის გადაგზავნისათვის გადასახადის მინიმუმი უდრის 60.000 მან. საქართველოს ბონებით.

კრ. 316 1—1

ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. საკავშირო საბჭოს დადგენილების № 60 შესასრულებლად

და დამატებით განცხადებისა ა. წ. 4 მარტის თარიღით (იხ. „ზარია ვოსტოკა № 50).

ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რ.-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს დაინტერესებულ სამეცნიერო დაწესებულებათა საყურადღებოდ ქვემორე ამისა მოთავსებულ სომხეთის იმ სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა დამატებითი სიას, რომელთაც უფლება ეძლევა შემოიტანონ საზღვარ გარეთიდან უბაჟოთ სამეცნიერო და სასწავლო მიზნისათვის საჭირო სამეცნიერო წიგნები, ხელსაწყო და ინსტრუმენტები:

1. **სომხეთის სახელმწიფო მუზეუმი.**
2. **ეჩმიაძინის მუზეუმი.**
3. **ერევანის სამუსიკო სტუდია.**
4. **ნაციონალური სურათების გალერეია.**
5. **პედაგოგიური ინსტიტუტი მუზეუმით.**
6. **სომხეთის სამეცნიერო ინსტიტუტი.**

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი: **იგანიანი.**

კრ. 315 1—1 საბაჟო სამმართველოს გამგე: **ვირაბი.**

განცხადებანი

სახელმწიფო

ოპერა

კრ. 307—1—1

დღეს, 18 აპრილს,

სოფლიელი დალაქი

და

კნიაზ იგორი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახლი

ბაღით და თავისუფალი ეზოთი. ვისაც სურს ჩქარა გაჰყიდოს ან შეიძინოს ხელსაყრელ პირობებში, მიმართეთ დავიდოვის ქუჩ. № 8, ბინა 2, გოლოვინის ქუჩის გვერდით.

(499—5—5)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, კოლონოვის ქ. № 20. (501—25—6)

დაიკარგა პირადობის მოწმობები: [illegible] ხიდისთავის თემის აღმასკომისაგან და ფოთის მუშა [illegible] პროფკავშირისაგან, ჩაითვალოს გაუქმებულად. ონოფრე მაქსიმეს ძე ლომთათიძე. დ. ხისთავი. (516 1—1)

დაიკარგა ვლადიმერ ერმოლოზის ძე ხუნდაძის სახელზე გაცემული პარტიული მანდატი № 1128, 1919 წლის პარტიული სტაჟის წიგნაკი და მეტრიკული ამონაწერი 1893 წლისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (518 1—1)

დაიკარგა ნადეჟდა ნიკიფორეს ასულის კუდრიავცევის სახელზე მილიციის უფროსის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა № 21532. ჩაითვალოს გაუქმებულად. (517 1—1)

თბილისის აღმასკომის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმების

სავალდებულო დადგენილება.

1923 წლის 10 აპრილი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის პირველი თებერვლის № 4 დადგენილების თანახმად ს. ს. ს. რ. ტყავეულის მრეწველობის აღდგენის და ნედლი ტყავეულის სწორი აღრიცხვის და განაწილების მიზნით და აგრეთვე ტყავეულის ბაზრის მოსაწესრიგებლად თბილისის აღმასკომის და ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმები ადგენენ:

1. ნედლი ტყავეულის მთელი ის რაოდენობა, რომელიც გროვდება თბილისის ქალაქის სასაკლაოზე, საქონლის დაკვლით პირველ რიგში ეძლევა ს. მ. უ. ს. ტყავეულის მთავარ სამმართველოს, რომელიც იძენს მას ნაღდზე, თავისუფალ ბაზარზე ტყავეულის შეძენის დღეს არსებულ ფასების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ ტყავეულის მთავარმა სამმართველომ აღნიშნული ტყავეულობა არ შეიძინა სრულიად ან ნაწილობრივ იმავე დღესვე, როცა დაგროვდა, დარჩენილი ტყავეული გადის თავისუფალ ბაზარზე.

2. ტყავეულის სწორათ აღრიცხვის და განაწილების მიღწევის მიზნით ტყავეულის მთავარ სამმართველოს აგენტებს უფლება ეძლევათ კანტროლი გაუწიონ ნედლი ტყავეულის თავისუფალ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვას.

3. ს. მ. უ. ს. წამოწყებების და წვრილი ხელოსნების ნედლი ტყავეულით უზრუნველყოფის მიზნით ნედლი ტყავეულის გატანა თბილისის მაზრის საზღვრებიდან საქართველოს გარეთ ხდება მხოლოდ ს. მ. უ. ს. ტყავეულის მთავარი სამმართველოს კანტროლის ქვეშ.

4. ყველა ის პირნი, რომლებიც განზრახ არ შეასრულებენ ამ დადგენილებას, ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებული იქნება 300 მანეთამდი ოქროთი

5. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება ს. მ. უ. ს. ტყავეულის მთავარ სამმართველოს.

6. ყველა სათანადო ორგანიზაციებს ევალებათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ტყავეულის მთავარ სამმართველოს ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

7. ეს დადგენილება ცხოვრებაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე: **ავაკოვი.** თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე: **ლ. სუხიშვილი.**

კრ. 313 1—1 ს. მ. უ. ს, ტყავეულის მთავარ სამმართველოს გამგე: **ს. ხოჯაშიროვი.**

განცხადება

ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ის ფინანსთა სახ. კომისარიატის

განცხადება

შესაძლებელ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამით ცხადდება საყოველთაო საყურადღებოდ, რომ **ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნები 10-ათასიანი კუპიურები** გამოდის ორ სხვა და სხვა ფერის ფონებზე აღბეჭდილი: ღია რუხის და ვარდის ფერი, რომელთა მიღება ერთნაირათ სავალდებულოა.

(კრ. 317 1—1)